ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 19 ივლისი, 2018 №169 (7714) ფასი: 60 თეთრი

„ევროპული საქართველო“ საპრეზიდენტო კანდიდატად დავით ბაქრაძეს წარადგენს

გვ.2

10 ივლისიდან

მაკა სეფაშვილი

დანაშაული ალარ მოხდება

ქართული დეტექტივი ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„კვირიკაშვილი შეიძლება პროკურატურაში დაიბარონ“

გვ.3

გოჩა მირცხულავა: „ივანიშვილმა კვირიკაშვილის გუნდზე შური გამქრალი 1,5 მილიარდის გამო იძია“

„ძალიან უხერხულია იმაზე საუბარი, რომ გიორგი კვირიკაშვილის და მისი გუნდის დევნა მიმდინარეობს“

კახა კუკავა: „მარგველაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს“

გვ.4

„ალავიძეს და ქუმსიშვილს ფულს ბიძინასთან მიატანინებენ“

დავით ჭიჭინაძე „ქართული ოცნებიდან“ გარიცხეს

გვ.2

სამართალი

გვ.7

მინდია ლავასოღლის შსს-მ საქართველო იძულებით დაატოვებინა

მასშტაბური სპეცოპერაცია ბათუმში

მაკა ასათიანი ეკა გიგაურს ღია წერილით მიმართავს

„დანა და დაჭრა არ დამინახავს, დავიფიცებ, მხედველობის პრობლემა მაქვს“

რას ამბობს მოზარდების მკვლელობის თვითმხილველი მძღოლი

ეკონომიკა

გვ.6

რა ქონებას ფლობს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე

სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება სერთიფიცირებას დაექვემდებარება

საგზაო ტენდერებით პროკურატურა დაგვიანებით დაინტერესდა

გვ.5

ბიზნესს 550 მლნ ლარის დავალიანება ჩამოეწერება

ISSN 1987-9385

5 ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმი მოსახლეობას კონტროლს უწესებს

4 სახელმწიფო უწყებებმა 3 მილიონი ლარის 136 „ნივა“ შეიძინეს

8 მარია ბუტინა — რუსი ჯაშუში

6 რამდენი „მარშრუტკა“ და ავტობუსი დახარვეზდა

„ევროპული საქართველო“ საპრეზიდენტო კანდიდატად დავით ბაქრაძეს წარადგენს

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებსა და საპრეზიდენტო კანდიდატზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ნაციონალურმა მოძრაობამ და 10-მა ოპოზიციურმა პარტიამ საპრეზიდენტო კანდიდატად გრიგოლ ვაშაძე წარადგინა. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ გრიგოლ ვაშაძის მთავარი კონკურენტი იქნება არა სახელისუფლო კანდიდატი, არამედ „ევროპული საქართველოს“ კანდიდატი. რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?

– თქვენ იცით, რომ „ევროპულ საქართველოს“ ამ არჩევნებზე თავისი კანდიდატი ეყოლება. ჩვენს კანდიდატს, ყველა სოციოლოგიური კვლევებით, მაღალი რეიტინგი აქვს და ის სარგებლობს ამომრჩევლის თუ გამოკითხული ადამიანების მოწონების მაღალი რეიტინგით.

– თქვენი კანდიდატი დავით ბაქრაძე იქნება?

– დავით ბაქრაძეს ყოველთვის ჰქონდა მოწონების მაღალი რეიტინგი. ასევე ცნობილია საზოგადოებისთვის, რომ ჩვენსა და ნაციონალურ მოძრაობას შორის არსებობს შეთანხმება, რომ მეორე ტურში გასული კანდიდატი, ვინც არ უნდა იყოს ის, ეს იქნება გრიგოლ ვაშაძე თუ დავით ბაქრაძე, ჩვენ მიერ იქნება მხარდაჭერილი. ეს არჩევნები მართლაც არის ძალიან მნიშვნელოვანი და ჩვენ უნდა შევძლოთ ამ არჩევნებზე გარდატეხის შეტანა.

– ეს თქვა გრიგოლ ვაშაძემაც, პრეზიდენტის ინსტიტუტი უნდა ჩამოვართვათ ხელისუფლებასო, მაგრამ როგორ შეძლებს ამას გათითოკაცებული ოპოზიცია?

– მე არ მინდა ნაციონალური მოძრობის ლანძღვა, მაგრამ თქვენ სწორი სიტყვა გამოიყენეთ – გათითოკაცებული პარტიები, რომლებიც ახლა ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად არიან. რაც შეეხება თქვენს კითხვას, რამდენად შეძლებს ოპოზიცია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას მიაღწიოს, ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული.

– კონკრეტულად?

– მაგალითად, იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ იქნება მმართველი ძალის საპრეზიდენტო კანდიდატი, როგორი წინასაარჩევნო კამპანია ექნება ოპოზიციას, ხელისუფლებას, ვინ რაზე გააკეთებს მთავარ გზავნილებს, აქცენტებს. არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდს როგორ გაივლის ხელისუფლება და ოპოზიციური პარტიები, ერთი სიტყვით, ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული.

– აქამდე ხელისუფლება რომ ვერ ასახელებს საპრეზიდენტო კანდიდატს, ეს რამეზე მიანიშნებს თქვენთვის?

– „ქართულმა ოცნებამ“ კონსტიტუციით იმდენად დაამახინჯა პრეზიდენტის როლი და ფუნქცია, რომ არც კი ედარდებათ, თუ ვინ იქნება ქვეყნის პრეზიდენტი, მაგრამ იმას ვერ ხვდებიან, რომ მაინც დარჩა პრეზიდენტს ამ რედაქციითაც გარკვეული ფუნქციები, გარკვეული როლი. ეს ერთი მიზეზი, მეორე მიზეზი კი, რა თქმა უნდა, არის ის, რომ „ქართულ ოცნებას“ არ ჰყავს თავისი კანდიდატი. მესამე ფაქტორი არის ის, რომ იმ ერთ კაცს გადაწყვეტილება ჯერ არ აქვს მიღებული. არადა, ყველამ ვიცით, რომ მის გარეშე არაფერი არ მოხდება. სწორედ მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. როგორც ჩანს, ის ჯერ ჩამოყალიბებული არ არის და ორჭოფობს, ეტყობა, ბევრ რამეზე ფიქრობს, როგორი კანდიდატი იყოს და ა.შ.

დავით დარჩიაშვილი: „მარგველაშვილის პროგნოზირება რთულია, რადგან წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნებაა“

– გამოდის, არ იზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ „ქართულ ოცნებაში“ რამდენიმე ჯგუფია და ისინი ვერ შეთანხმდნენ კანდიდატურაზე?

– თავისთავად ცხადია, რომ „ქართულ ოცნებაში“ არიან ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან, ვინ უფრო იქნება გავლენიანი სახელისუფლო კარზე, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის. ამიტომ ვამბობ, რომ, როგორც ჩანს, ჯერ ის არ არის ჩამოყალიბებული.

– გამორიცხავთ, რომ „ოცნებას“ თავისი კანდიდატი არ ჰყავდეს და მართლაც სალომე ზურაბიშვილს დაუჭიროს მხარი?

– ვერ გეტყვით, ნამდვილად არ ვიცი, ეს არის ხმები, რომლებიც გავრცელდა.

– ბატონო დავით, დიმიტრი ქუმსიშვილისა და ზურაბ ალავიძის პროკურატურაში დაბარებაზე რას იტყვით, ეს იყო პროკურატურის დაინტერესება თუ პროკურატურა ივანიშვილის გარეშე ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა?

– ივანიშვილის გარეშე მე არ ვფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება პროკურატურამ მიიღო, მაგრამ ახლა რამდენად გავლენ კვირიკაშვილზე, ეს რთული სათქმელია, რადგან არ ვიცი, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს. შეიძლება ამით ივანიშვილს კვირიკაშვილის დაშინება უნდა.

– კორუფციულ სქემებს გამორიცხავთ?

– არა, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ. კორუფციულ სქემებს, ამას როგორ გამოვრიცხავ. კორუფციული სქემები იყო, არის და იქნება კიდეც, მაგრამ შერჩევითია ეს ყველაფერი და ამიტომ მგონია, რომ შეიძლება ეს იყოს ერთგვარი დაშინება კვირიკაშვილის და კიდევ გზავნილი სხვებისთვის, რომ კიდევ ვინმემ რამე არ გაბედოს.

– თუმცა, კვირიკაშვილს არ უთქვამს, რომ ოპოზიციაში მიდის ან პოლიტიკურ კარიერას აგრძელებს და რატომ უნდა დაეშინებინა ივანიშვილს?

– გასაგებია, არ უთქვამს, რომ ის ოპოზიციაში მიდის, მაგრამ ფაქტია, რომ ივანიშვილს რაღაც არ მოეწონა კვირიკაშვილის და ამიტომ მე არ გამოვრიცხავ, რომ ის ამით გააფრთხილა.

– საპრეზიდენტო არჩევნებს რომ დავუბრუნდეთ, მარგველაშვილის არჩევნებში მონაწილეობა, თუ მან მიიღო ეს გადაწყვეტილება, რაიმე კორექტივებს შეიტანს? მაგალითად, მეორე ტურის შესაძლებლობა გაჩნდება ამ შემთხვევაში?

– ზოგადად მარგველაშვილის პროგნოზირება ძალიან რთული საქმეა, რადგან წინააღმდეგობებითაა აღსავსე მისი გადაწყვეტილებები, ზოგადად მისი ნაბიჯები. შეუძლია ერთი კარგი ნაბიჯი გადადგას და ორი ცუდი მოაყოლოს.

მეორე ვადით იყრის თუ არა კენჭს, მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ ჰქონდეს მიღებული და ამ გადაწყვეტილების მიღების დეტონატორი სრულიად არაპროგნოზირებადი რამ გახდეს. ამით შეურაცხყოფას კი არ ვაყენებ, ასეთი ბუნებისაა ის. ამის მაგალითია თუნდაც აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის დასახელება, როდესაც მან გადაწყვიტა, რომ არმაზ ახვლედიანი კი არ წარადგინოს, არამედ ის, ვისაც ხელისუფლება უჭერს მხარს.

– რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება, მართლაც მისი როლი გაიაზრა, რომ პოლიტიკური კრიზისი არ შექმნას და კონსტიტუციას მიყვეს თუ ოპოზიციური ნაბიჯის გადადგმა უჭირს?

– მე ამას მაინც მისი ბუნებიდან, მისი ხასიათიდან გამომდინარე ვხსნი. ის წინააღმდეგობებით აღსავსეა. გასაგებია, რომ კონსტიტუციას იცავს და მას ეუბნება კონსტიტუცია, რომ წარადგინოს ის კანდიდატი, რომელსაც ექნება უმრავლესობის მხარდაჭერა, მაგრამ მას შეეძლო, წარედგინა სხვა კანდიდატი და ბოლოს და ბოლოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიემართა და იქ გაეგრძელებინა მოქმედება.

დავით ჭიჭინაძე „ქართული ოცნებიდან“ გარიცხეს

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარემ და მისმა გუნდმა ბრჭყალები გამოაჩინეს – მათ „ქართული ოცნებიდან“ დეპუტატი დავით ჭიჭინაძე გარიცხეს. ამ უკანასკნელის გარიცხვას გაზაფხულზეც აპირებდნენ, მაგრამ მაშინ სიტუაცია დალაგდა.

ამ დალაგების მიუხედავად, ჭიჭინაძე სკანდალური განცხადებების გაკეთებას მაინც არ ანებებდა თავს. ბოლო დროს ის გამუდმებით ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე საუბრობდა. ამ დღეებში კი პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომაც მოითხოვა.

ირაკლი კობახიძეს ჭიჭინაძე გიორგი კვირიკაშვილის გამო დაუპირისპირდა. სპიკერმა ექსპრემიერს ტყიბულის მაღაროში მომხდარ ტრაგედიაზე დააკისრა პასუხისმგებლობა და განაცხადა, რომ პარლამენტმა სწორედ კვირიკაშვილის გამო ვერ გაამკაცრა შრომითი უსაფრთხოების ნორმები.

დეპუტატების მწყემსის გმობა ჭიჭინაძემ გუშინ, 18 ივლისსაც გააგრძელა. მედიასთან საუბარში ის დეპუტატის ბედზე ჩიოდა, ამბობდა, თმენის ვალდებულება გვაქვს, თორემ კობახიძის სპიკერობა როგორ უნდა ავიტანოთო.

ჭიჭინაძის თქმით, კობახიძის ბოლო პერიოდში გაკეთებული განცხადებებიდან ირკვევა, რომ ის „ახალი კონსტიტუციის ავტორობას უბრალოდ იჩემებდა“.

– თმენის ვალდებულება მართლა დეპუტატებს გვაქვს, რომ ასეთ თავმჯდომარეს ვითმენთ. აქამდე ვიცოდი, რომ ის იყო კონსტიტუციის ავტორი, ამას იჩემებდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, თურმე მთავრობა არ აძლევდა მუშაობის საშუალებას. მაჟორიტარებთან დაკავშირებით, მიწის არ გაყიდვასთან დაკავშირებით ჩვენი ინიციატივები იყო, საბანკო ჩანაწერების გასწორებასთან დაკავშირებით – ჩემი და კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციის. გამოდის, რომ ეს ადამიანი პრაქტიკულად იბრალებს იმას, რაც არ გაუკეთებია. ჩემთვის გაუგებარია, თუ ამ კონსტიტუციას კვირიკაშვილის კონსტიტუცია ჰქვია და ერთ ადამიანზეა მორგებული, მაშინ გამოდის, რომ კონსტიტუცია არასწორად მიგვიღია, – განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე ჯერ კიდევ „ოცნების“ წევრმა დავით ჭიჭინაძემ.

ის შეწუხებული ჩანდა იმის გამო, რომ საკანონმდებლო ორგანოს დაბალი რეიტინგი აქვს.

– მე ვერ ვიტყვი, რომ კობახიძე ძალიან მაღალრეიტინგული ფიგურაა და საზოგადოებაში მხარდაჭერით სარგებლობს. მისი მხარდაჭერა, მისი ავტორიტეტი და ზოგადად მისი მეთაურობით პარლამენტის ავტორიტეტი ძალიან დაბალია, – აღნიშნა დეპუტატმა.

ამ ბრიფინგიდან მოკლე ხანში პარლამენტში ხმა გავარდა, რომ ჭიჭინაძეს პარლამენტიდან რიცხავდნენ. ეს ინფორმაცია მალევე დადასტურდა. „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სამდივნომ პარტიიდან დავით ჭიჭინაძის გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღო.

სამდივნომ ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებაც გაავრცელა. „ახალი თაობა“ მას უცვლელად გთავაზობთ:

– გასული რამდენიმე თვის განმავლობაში მპგ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ და საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, დავით ჭიჭინაძემ, გააკეთა არაერთი საჯარო განცხადება, რომლითაც მან შეურაცხყოფა მიაყენა პოლიტიკური გუნდის წევრებს და ზიანი მიაყენა პარტიის იმიჯსა და ინტერესებს. დავით ჭიჭინაძემ არაერთგზის უხეშად დაარღვია პარტიული დისციპლინა და საყოველთაოდ აღიარებული მორალური და ეთიკური ნორმები. „ქართული ოცნებისთვის“ შიდაპარტიული დემოკრატია და გამოხატვის თავისუფლება სახელმძღვანელო პრინციპებია.

პარტიის ყველა წევრს აქვს კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, თანაგუნდელების შეურაცხყოფა, მორალური და ეთიკური პრინციპების დარღვევა და პოლიტიკური გუნდისთვის ზიანის მიყენება სცილდება შიდაპარტიული გამოხატვის თავისუფლების ყოველგვარ ზღვარს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მპგ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სამდივნო ერთხმად ადგენს, პარტიიდან გაირიცხოს მპგ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, დავით ჭიჭინაძე.

გადაწყვეტილებას ხელს აწერენ კახა კალაძე, ირაკლი კობახიძე, გია ვოლსკი, თამარ ჩუგოშვილი და დიმიტრი სამხარაძე.

„ოცნების“ მიერ შერისხული დავით ჭიჭინაძე ფიქრობს, რომ მის მსგავსად, „ქართული ოცნების“ რიგებიდან ბევრს გარიცხავენ, რადგან პარტიის ხელმძღვანელობას დასჯის მექანიზმად ეს ფორმა მიაჩნია.

როგორც პირველ არხს ჭიჭინაძემ განუცხადა, გრძნობდნენ, ვის მიმართაც შემდეგი გალაშქრება მოუწევდა და პარტიიდან მის გარიცხვას ხელი სასწრაფოდ ამიტომ მოაწერეს.

– პარტია თავისუფალი ადამიანების შეკრება და ამომრჩევლის პოლიტიკური ნების განხორციელების ორგანოა. ჩემი ამომრჩევლის ნებას ვიცავდი, რომ ქვეყანაში სამართლიანობა, მორალური სახელმწიფო და პასუხისმგებლიანი ხელისუფლება ყოფილიყო. თუ ვინმეს სიმართლე არ მოსწონს და მხოლოდ შელამაზებული ამბები

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„პროკურატურაში შეიძლება კვირიკაშვილიც დაიბარონ“

გოჩა მირცხულავა: „ივანიშვილმა კვირიკაშვილის გუნდზე შური გამქრალი 1,5 მილიარდის გამო იძია“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ გაიზიარებს ქუმსიშვილი-ალავიძის ბედს, სად გაქრა 1.5 მილიარდი ლარი, რატომ გამოუჩნდა კვირიკაშვილს ამდენი დამცველი და რას ერჩის მას ივანიშვილი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

– ზურაბ ალავიძეს და დიმიტრი ქუმსიშვილს რომ პროკურატურა დაიბარებდა, ეს თქვენ რამდენიმე თვის წინ იწინასწარმეტყველეთ „ახალ თაობასთან“ საუბარში. მათ უკვე უხმო პროკურატურამ. საზოგადოების, პოლიტიკოსების და ექსპერტების ნაწილმა ეს შეაფასა, როგორც პოლიტიკური დევნა.

– პროცესები აბსოლუტურად ლოგიკურად ვითარდება. ეს არის იმ საქმის გაგრძელება, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ალავიძე მინისტრობიდან გაათავისუფლეს. მის ადგილზე მოსულმა მაია ცქიტიშვილმა განაცხადა, რომ მისი წინამორბედის საქმიანობასთან დაკავშირებით კითხვები არსებობდა. მინისტრმა არსებული ვითარება ძალიან რბილად შეაფასა, თორემ არამცთუ კითხვები არის, არამედ საქმეს პროკურატურა და სუსის ანტიკორუფციული ბიურო იძიებენ.

სუსის ანტიკორუფციულმა ბიურომ ამ საქმის შესწავლა რამდენიმე თვის წინ დაიწყო. ეს საქმე მოგვიანებით გადავიდა პროკურატურაში. საუბარია 1,5 მილიარდი ლარის გაფლანგვაზე და კორუფციულ გარიგებებზე.

– 1,5 მილიარდი ლარი ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გაფლანგა?

– მარტო ინფრასტრუქტურის სამინისტრომ რატომ? საქმეში სხვებიც არიან, საავტომობილი გზების დეპარტამენტზე მოდის სერიოზული წილი.

გაფლანგულია 1.5 მილიარდი ლარი და ამ დროს ძალიან უხერხულია იმაზე საუბარი, რომ გიორგი კვირიკაშვილის და მისი გუნდის დევნა მიმდინარეობს. ეს განცხადებები არის უპასუხისმგებლო. უპასუხისმგებლოა თუნდაც იმიტომ, რომ ამ საქმეების შესწავლა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა კვირიკაშვილს ჯერ კიდევ პრემიერის სავარძელი ეკავა, ქუმსიშვილი კი ვიცე-პრემიერი იყო.

ყველა ექსპერტი და პოლიტიკოსი, ვინც ახლა კვირიკაშვილს აფარებს ხელს, დათვურ სამსახურს უწევს მართლმსაჯულებას და საკუთარ თავს. ამასთან, სამომავლოდ ინდულგენციას იკეთებენ – თავად თუ აღმოჩნდებიან თანამდებობაზე, მათაც მიეცეთ მოპარვის და მითვისების უფლება. ამის გამო თუ ვინმე მოჰკიდებს ხელს, ამას პოლიტიკური დევნის კვალიფიკაციას მისცემენ.

ამიტომ ვამბობ, რომ კვირიკაშვილის გუნდის დაცვა არასახელმწიფოებრივი მიდგომაა. თავი დავანებოთ „ოცნების“ ხელისუფლებას. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ნებისმიერი ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა.

იმისთვის, რომ კორუფციის წინააღმდეგ დაიწყოს ბრძოლა, ამას პოლიტიკური ნება სჭირდება. ეს ნება, როგორც იქნა, გამოჩნდა.

– კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ნება რომ გამოჩნდა, კარგია, მაგრამ რაღა კვირიკაშვილის გუნდის წინააღმდეგ გამოიჩინეს ეს ნება? სხვა კორუმპირებული ჩინოსნები არ ჰყოლია საქართველოს? ინფრასტრუქტურის წინა მინისტრებთან დაკავშირებითაც იყო კითხვები, მაგრამ მათ წინააღმდეგ არ დაწყებულა გამოძიება.

– აქ მარტო ალავიძის ერთ ქეიფზე არ არის საუბარი. საქმე ისაა, რომ ამ სამინისტროში კორუფციული სქემები მისი მისვლის შემდეგ დაიხვეწა. ალავიძის წინამორბედების საქმეებიც შესასწავლია, მაგრამ ამ შემთხვევაში კორუფციული მადა ძალიან იქნა გაზრდილი. აქ ესაა პრობლემა და არა ის, რომ რომელიღაც ჩინოსანი გარიგებაში შედიოდა კონკრეტულ ბიზნესმენთან. აქ კორუფციული სისტემა აეწყო.

ამ სქემაში ძალიან ბევრი ვინმე იყო ჩართული, დაწყებული ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიდან, დამთავრებული ინფრასტრუქტურის სამინისტროთი.

ახლა ვიღაცა იტყვის, რა შუაშია ამ ამბავში ქუმსიშვილის პერსონა. ეს ადამიანი გახლდათ ვიცე-პრემიერი და კურირებდა კონკრეტულ სფეროებს, მათ შორის, ინფრასტრუქტურის სამინისტროს გარკვეულ მიმართულებებს. აქედან გამომდინარე, გამოძიებას აქვს გონივრული ეჭვი, რომ ქუმსიშვილი ამ პროცესებში იყო ჩართული.

ვიღაცები იმასაც ამტკიცებენ, რომ ამ კორუფციული გარიგებიდან წილი ივანიშვილთანაც მიდიოდა. მოდით, გულზე დავიდოთ ხელი და ვთქვათ, რაში სჭირდებოდა ივანიშვილს რომელიღაც სოფელში მშენებარე გზიდან მოტეხილი ფულიდან წილი

რატომ ავიწყდებათ კვირიკაშვილის გუნდის დამცველებს, რომ სულ ცოტა ხნის წინ, ისინი სულ იმაზე საუბრობდნენ, რომ ეს გუნდი კორუფციაში იყო ჩართული. ახლა ვინც პოლიტიკურ დევნაზე საუბრობს, ცოტა ხნის წინ ამბობდა, რომ სქემებს ქუმსიშვილი ალაგებდა და მას მთავარ „კასირს“ ეძახდნენ.

ვიღაცები იმასაც ამტკიცებენ, რომ ამ კორუფციული გარიგებიდან წილი ივანიშვილთანაც მიდიოდა. მოდით, გულზე დავიდოთ ხელი და ვთქვათ, რაში სჭირდებოდა ივანიშვილს რომელიღაც სოფელში მშენებარე გზიდან მოტეხილი ფულიდან წილი.

– რომელიღაც სოფლიდან მოტეხილი ფულიდან წილი მართლა არაფერში სჭირდება, მაგრამ ივანიშვილმა ახლა გაიგო, რომ საოცნებო ხელისუფლება კორუფციაში იყო ჩართული? ოპოზიცია გამუდმებით ამაზე საუბრობდა.

– ახლა ივანიშვილთან დადასტურებული ინფორმაციები მივიდა იმასთან დაკავშირებით, რომ კორუფცია ყვაოდა. სწორედ მაშინ გაუშვეს ალავიძე სახლში, ინფრასტრუქტურის სამინისტროში კი ივანიშვილის კადრი მიიყვანეს.

ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან დაკავშირებით ადრეც იყო კითხვები და მაშინაც შეცვალეს მინისტრი. ივანიშვილმა მაშინაც მისი ნდობით აღჭურვილი პირი – ნოდარ ჯავახიშვილი – მიავლინა ამ უწყებაში.

ნოდარ ჯავახიშვილის მინისტრობისას უწყება თითქოს დალაგდა. ყოველ შემთხვევაში, კორუფციულ გარიგებებზე ასე ღიად არავინ საუბრობდა. ალავიძის მისვლის შემდეგ ეჭვები გაჩნდა და გამოძიებამ დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა.

– საგამოძიებო სამსახურებმა გამოძიება საკუთარი ინიციატივით დაიწყეს თუ ივანიშვილისგან ჰქონდათ მითითება?

– გამოძიება ივანიშვილთან შეთანხმებით დაიწყო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოფილმა პრემიერმა კვირიკაშვილის გუნდის წევრებზე შური იძია.

– რისთვის იძია შური?

– რისთვის? მან ამ ადამიანებს ქვეყანა ანდო, მათ კი რითი გადაუხადეს? სავარაუდოდ, ამ ხალხმა ჯიბეში ჩაიდო ძალიან ბევრი ფული. კიდევ ერთხელ ვიტყვი, იმის მტკიცება, რომ ბიუჯეტიდან მოტეხილი ფულიდან წილი ივანიშვილს მისდიოდა, არის ალოგიკური. ეს თუ ასე იყო, მაშინ ქუმსიშვილს, კვირიკაშვილს და ალავიძეს შეუძლიათ, ეს თქვან.

შემიძლია გითხრათ, რომ ისინი წილს არავის აძლევდნენ. ისინი თავად მდიდრდებოდნენ და ცდილობდნენ, თითოეული ჩვენგანისთვის წაეგლიჯათ რაც შეიძლება მეტი ფული.

სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნა უნდა იყოს ერთი – ამ ქვეყანაში კორუფცია დასრულდეს. როგორი მაღალი თანამდებობის პირიც არ უნდა იყოს, თუ ის კორუფციაშია ჩაფლული, მან პასუხი უნდა აგოს.

– ამბობთ, რომ გამქრალია 1.5 მილიარდი. ამაზე ივანიშვილს არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება? ამ ხალხს ხომ მან ანდო ქვეყანა?

– ამ ამბავში ივანიშვილის ბრალეულობაც არის. როგორც ჩანს, მან პროცესები მიუშვა. მან პროცესები ჯერ კიდევ მაშინ მიუშვა, როცა ნარმანია იყო ინფრასტრუქტურის მინისტრი. მაშინ ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ტენდერები არ სრულდებოდა.

– ნარმანიას ამაზე პასუხი არ უგია. კითხვები მის მემკვიდრეებთანაც იყო, მაგრამ არც მათთვის მოუთხოვიათ პასუხი.

– დავით შავლიაშვილთან ბევრი კითხვა იყო, მაგრამ მას პირდაპირ ირაკლი ღარიბაშვილი მფარველობდა. იქ არსებული ვითარება ჯავახიშვილმა დაარეგულირა. ივანიშვილმა თავისი მენეჯერების მიმართ ჭარბი ნდობა გამოავლინა. ასეთი ჭარბი ნდობა ყოველთვის არ ამართლებს.

ძალიან ცუდია, რომ ყოფილი პრემიერი პოლიტიკას უყურებს, როგორც ბიზნესს. სწორედ ამის შედეგია ის მძიმე რეალობა, რაშიც დღეს სახელმწიფო იმყოფება.

ისე ნუ გავიგებთ, რომ მარტო ინფრასტრუქტურის სამინისტროში ჰქონდა ადგილი კორუფციულ ფაქტებს. ასეთი კითხვები იყო კულტურის და სპორტის ყოფილი მინისტრების მიმართაც.

– მათთან კითხვები იყო, მაგრამ პროკურატურას მათზე საქმეები არ აღუძრავს. კორუფციას თუ ებრძვიან, მათ რატომ შერჩათ ხახვივით ეს ყველაფერი?

– უნდა ვივარაუდოთ, რომ იქ კორუფციის მასშტაბები ასეთი დიდი არ იყო. ანდა მათ ვიღაცამ მისცა უფლება, რომ რაღაც თანხები შეიძლება მოეპარათ. 1,5 მილიარდი კი ნამეტანი სერიოზული ლუკმაა და ამაზე რეაგირება აუცილებლად იქნებოდა.

– ამ 1.5 მილიარდზე კვირიკაშვილსაც მოსთხოვენ პასუხს?

– 1.5 მილიარდის გაქრობის საქმეში პირდაპირ იკვეთება კვირიკაშვილის პასუხისმგებლობა. ის მხოლოდ ერთ შემთხვევაში აირიდებს პასუხისმგებლობას. მან უნდა თქვას, რომ ეს 1.5 მილიარდი რომ გამქრალიყო, ამის უფლება ივანიშვილმა მისცა.

ის ამას ვერ იტყვის. კვირიკაშვილი საკმაოდ ცუდი პოლიტიკოსი და მენეჯერი აღმოჩნდა.

ჩემი აზრით, ის ამ კორუფციულ გარიგებებში ჩართული იყო. ამის მტკიცებულებები საგამოძიებო უწყებებმა უნდა დადონ.

– მასაც მიუწევს პროკურატურაში მისვლა?

– სავარაუდოდ, მოუწევს და ეს თუ ასე მოხდა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ოპოზიცია ვენებს გადაიჭრის და იტყვის, რომ ეს პოლიტიკური დევნაა. ამ დროს საერთოდ არ იღებენ ხმას იმაზე, რამდენი ფულია ბიუჯეტიდან მოპარული.

კორუმპირებულმა ჩინოსნებმა პასუხი აუცილებლად უნდა აგონ. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად მაღალი თანამდებობა უკავიათ მათ. ეს ერთგვარი პრევენცია იქნება და დაბალ საფეხურებზე მყოფი თაგვები ასე იოლად ვეღარ მოიპარავენ ბიუჯეტის ფულს.

– კორუმპირებულმა ჩინოსნებმა მართლაც უნდა აგონ პასუხი, მაგრამ არა იმის მერე, რაც მთავარ ფიგურასთან საქმე გაუფუჭდებათ. კვირიკაშვილს ამის გამო ხომ არ სთხოვენ პასუხს? როგორც ამბობენ, მას ივანიშვილთან ურთიერთობა ივნისის აქციებმა გაუფუჭა. ექსპრემიერს აქციის ორგანიზატორებთან კავშირსაც აბრალებდნენ.

– კვირიკაშვილს ეგონა, რომ ის აქციები მისი იმუნიტეტი იქნებოდა. მას სწორი ნაბიჯები რომ გადაედგა, „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი იქნებოდა. მან რატომღაც მიიჩნია, რომ მექანიზმი დალაგებული ჰქონდა და მისი დაშლა არ შეიძლებოდა. ჩათვალა, რომ ამ სიტუაციაში კიდევ უფრო მსუყე ლუკმების მოგლეჯა შეეძლო. მან ამ სიტუაციებით „ქართული ოცნების“ დაშანტაჟება დაიწყო.

– პრეზიდენტობის კანდიდატად თუ ასახელებდნენ, და შანტაჟება რაში დასჭირდა.

– საქმეც ეგაა. მან დაიწყო ღია კარის მტვრევა. მოდით, გავიხსენოთ, როდის გაჩნდა უკმაყოფილება კვირიკაშვილთან დაკავშირებით. ეს ადრიანად გაზაფხულზე დაიწყო. მაშინ ალავიძის ქეისთან დაკავშირებით ბევრი კითხვა გაჩნდა. ეს კითხვები პირველს გიორგი კვირიკაშვილს უნდა გასჩენოდა. ეს ყველაფერი მის მთავრობაში ხდებოდა, კვირიკაშვილი კი ამ პროცესს არხეინად უყურებდა.

მოვუხმობ უდანაშაულობის პრეზუმპციას და არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ის ამ კორუფციულ სქემაში იყო ჩართული. ეს დაუჯერებელია, მაგრამ, ვთქვათ, ასეა, მაშინ კვირიკაშვილის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი დგება. მას უნდა სცოდნოდა, რა ხდებოდა მის მთავრობაში.

– თუ ასეთ საქმეებში იყო გარეული კვირიკაშვილი და მასთან დაკავშირებით კითხვები იყო, რატომ ასახელებდნენ პრეზიდენტობის კანდიდატად?

– მისი პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელება ქართველი ხალხის სულში ჩაფურთხება იქნებოდა. სულში ჩაფურთხების არაერთი მაგალითი ვნახეთ ბოლო წლებში. თავის დროზე მარგველაშვილის პრეზიდენტად დასმაც ხალხის სულში ჩაფურთხებად მიმაჩნდა.

„ოცნება“ კვირიკაშვილის პრეზიდენტად დასახელებას მანამდე აპირებდა, ვიდრე არ დადასტურდა, რომ მთელ რიგ სამინისტროებში კორუფციულ გარიგებებს ჰქონდა ადგილი.

ივანიშვილსა და კვირიკაშვილს შორის შავმა კატამ სწორედ გამქრალი 1,5 მილიარდის გამო გაირბინა. ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა კვირიკაშვილის პოლიტიკურ დევნაზე კი არ უნდა ილაპარაკონ, არამედ უნდა დასვან კითხვა – რატომ გაჯანჯლდა ამ საქმის გამოძიება.

– ისე, მართლა რატომ ჯანჯლდება ამ საქმის გამოძიება?

– ამასაც აქვს მიზეზები. რაღაც დროის მანძილზე მთავარი პროკურორი არ გვყავდა. გარდა ამისა, თემა არის ცოტა სენსიტიური – „ქართული ოცნება“ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუ დამტკიცდება, რომ პრემიერი და ვიცე-პრემიერი კორუფციაში იყვნენ ჩართული.

ამას საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდანაც ექნება რეზონანსი და ყველაფერი დოკუმენტებით უნდა იყოს გამყარებული.

კორუფციის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას მივესალმები და, ამავე დროს, ახალ პრემიერთან მაქვს ერთი კითხვა – რატომ არ ათავისუფლებს ის თანამდებობიდან მრჩეველ დავით კირვალიძეს და გუბერნატორებს.

კირვალიძის გვარი ფაროსანას სკანდალში ფიგურირებს, გუბერნატორები კი სხვადასხვა პარტიებთან აგზავნიან ემისრებს. ამა თუ იმ პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატებისგან რაღაც გარანტიებს ითხოვენ.

– ისევ 1,5 მილიარდს დავუბრუნდეთ, სად წავიდა ეს ფული? ამხელა თანხას 3 კაცი ვერ გააქრობდა.

– აქ მარტო სამ კაცზე არაა საუბარი. ბევრი ვინმეა ამ საქმეში ჩართული. კვირიკაშვილი, ალავიძე და ქუმსიშვილი ამ ფულს მუთაქებში ნაღდად არ შეინახავდნენ. მე დაახლოებით ვიცი, სად წავიდა ამ ფულის ნაწილი, მაგრამ სანამ მტკიცებულებები არ მექნება, ამაზე არ ვისაუბრებ.

კახა კუკავა: „მარგველაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, ქუმსიშვილი და ალავიძე პროკურატურაში იყვნენ დაბარებული გამოკითხვაზე. დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ყოფილ მაღალჩინოსნებს? ეს არის პოლიტიკური დევნა თუ საქმე გვაქვს კორუფციულ დანაშაულთან?

– ეს არის მაფიოზური საქმის გარჩევა. დაიბარებენ ალავიძეს და ეტყვიან, ბიჭი, რომ წაიღე 30 მილიონი იქიდან, 60 მილიონი აქედან და 50 აქედან, ახლა უკან ჩამოყაჭე! ამ საქმეს არანაირი საერთო არა აქვს მართლმსაჯულებასთან, იმიტომ, რომ ამ ფულს ალავიძე დააბრუნებს არა სახელმწიფო ბიუჯეტში...

– აბა სად მიატანინებენ?

– ბიძინა ივანიშვილის ოჯახში. ეს არის იგივე, რაც ნაციონალური მოძრაობის დროს ხდებოდა და რაც შევარდნაძის დროს ხდებოდა, როდესაც არსებობდა არაფორმალური ხაზინა სახელმწიფო ბიუჯეტის პარალელურად.

შევარდნაძის მთავრობაში ამას აკეთებდა ნუგზარ შევარდნაძე. სააკაშვილის მთავრობაში ამას კურირებდა კეზერაშვილი და დღეს არის უჩა მამაცაშვილი და კიდევ რამდენიმე კრიმინალი ივანიშვილის გარემოცვაში, რომელიც უყურებს ამ ფულის ამოღებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. თუ ვინმე მათ გარდა გაბედავს თანხის მოპარვას, აი, ასეთ შემთხვევაში იწყება ხოლმე გამოძიება. პოლიტიკური კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოძიება დაიწყო მას შემდეგ, რაც ეს ადამიანები გადადგნენ. ეს ქუმსიშვილმა დაადასტურა 24 საათში.

– ეს საით მიანიშნებს?

– ეს ცალსახად ადასტურებს იმას, რომ აქ არის პოლიტიკური მოტივი. სანამ ხელისუფლებაში იყო ეს ხალხი, მთელი ოპოზიცია ყვიროდა, განსაკუთრებით ქუმსიშვილზე, რომ ბიუჯეტს ყველეფდა და არც ერთ სამართალდამცავ ორგანოს ხმა არ ამოუღია. როგორც კი გადააყენეს, მაშინვე დაიწყო ძიება. სამწუხაროდ, ეს არის სიცილიური მაფიისათვის დამახასიათებელი ტექნოლოგია, რასაც იყენებს საქართველოს დღევანდელი მმართველი რეჟიმი.

– ეს ხომ არ გაკეთდა დანარჩენების შესაშინებლადაც, რომ თუ გაბედავთ და მოიპარავთ, თქვენც იგივე დაგემართებათ.

– არა, რადგან სხვა ყველა შეშინებულია. როცა მოვიდა ივანიშვილი ხელისუფლებაში, ეს მისი დამსახურება იყო მთლიანად, რადგან ყველა არარაობა იყო მის კოალიციაში. ივანიშვილმა ჩათვალა, რომ მან მოიგო და მთელი პრიზიც მას უნდა შეხვედროდა და დაიწყო საქართველოს ძარცვა. საქართველოს ძარცვა როგორ ხდება? არის 20-25 ფულიანი წერტილი საქართველოში, სადაც ეს ფული კეთდება.

ბიძინა ივანიშვილისთვის ფულის შეწერვა, ასე ადვილი ნუ ჰგონია ვინმეს. მან საკუთარი ქვისლი დააჭერინა ასი ლარის გულისთვის. ეს ცნობილი ისტორიაა, რაღაც მშენებლობას აწარმოებდა საჩხერეში, პატარა ერთსართულიან შენობას და მისი ქვისლი კურირებდა. ეს შენობა ასი ლარით მეტი დაჯდა, ვიდრე დაგეგმილი იყო და ქვისლი დააჭერინა, ციხეში ჩასვა. და როგორ გგონიათ, ამდენ ფულს აპატიებდა ვინმეს?!

ახალ მიმდინარეობს პროცესი, რომ ეს წაღებული ფული მოიტანონ უკან. უკან იგულისხმება ივანიშვილის ოჯახი, თორემ ნახავთ ყველა, ისე დამთავრდება ეს გამოძიება, სახელმწიფო ბიუჯეტში არავინ არაფერს არ გადაიხდის. სავარაუდოდ, არც ვინმეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დადგება. ყოველ შემთხვევაში, მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხი ნამდვილად არ დადგება. წინ საპრეზიდენტო არჩევნები აქვთ და ახლა არავის არ დაიჭერენ.

– დღეს აქტუალურია არჩევნების თემაც. ოპოზიციის ერთი ფლანგი გაერთიანდა და მისი საპრეზიდენტო კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე იქნება. რა შანსები აქვს ოპოზიციას?

– ნაციონალური მოძრაობა თამაშობს ხელისუფლების თამაშს. მას შემდეგ, რაც ბოკერიასთან მოაწერეს ხელი იმ ცნობილ აქტს, სხვა რამე მოსალოდნელი არც იყო. ჩვენ მოვუწოდებთ არა ქოც და არა ნაც ოპოზიციურ პარტიებს, რომ ჩავატაროთ პრაიმერიზი და დავასახელოთ ერთიანი კანდიდატი, რომლისთვისაც ხმის მიცემა იქნება შესაძლებელი.

„ალავიძეს და ქუმსიშვილს ფულს ბიძინასთან მიატანინებენ“

– თუ ეს არ მოხერხდა?

– თუ არჩევნებზე ძირითადად იქნება ნაცების და ქოცების კანდიდატი, ხალხი უბრალოდ არ წავა ამ არჩევნებზე და მოიგებს ხელისუფლება. ამიტომ აუცილებელია, რომ ჩვენ დავაყენოთ მესამე ძალის კანდიდატი, რომელიც რეალურ არჩევანს დაუტოვებს საზოგადოებას. ნაცები ქოცების ალტერნატივა არ არის. იმის გამო, რომ ქოცები წავიდნენ და ნაცები მოვიდნენ ხელისუფლებაში, ხალხი არჩევნებზე არ მივა. ხოლო როცა ხალხი არჩევნებზე არ მიდის, ამით ყოველთვის იგებს ხელისუფლება. ამიტომ ჩვენ ვთავაზობთ არასაპარლამენტო პარტიებს, რომ ჩავატაროთ პრაიმერიზი.

– ანუ ეს გაერთიანებული 10 პარტია ხელისუფლების თამაშს ითამაშებს?

– ასე იქნება. ნაციონალური მოძრაობა აქამდე თვითონ ამტკიცებდა, რომ ბოკერია ხელისუფლებასთან იყო შეკრული. ახლა კი ბოკერიასთან ხელი მოაწერეს აქტს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთმანეთის კანდიდატს დაუჭერენ მხარს. თუ ხელისუფლებასთან შეკრულს შეეკვრები, შენ რა გამოდიხარ?!

– თუმცა ამ კოალიციაში ერთად არ არიან.

– არ არიან, მაგრამ მათ გამოაცხადეს, რომ მეორე ტურში ერთიან კანდიდატს დაუჭერენ მხარს. გარდა ამისა, თვითონ ეს ფორმა, იგივე ვაშაძის დაყენება, რომელიც არ არის მაინცდამაინც ძლიერი კანდიდატი, ნიშნავს იმას, რომ ისინი იბრძვიან მეორე ადგილისთვის. ნაცმოძრაობა და ბოკერია იბრძვიან ივანიშვილის კარზე მეორე ადგილის მოსაპოვებლად. ორივე თამაშობს ივანიშვილის თამაშს.

– სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურაზე მიდის აქტიური საუბარი. იქნება სალომე ზურაბიშვილი „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი?

– მე ვფიქრობ, რომ სალომე ზურაბიშვილი არ იქნება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, ის იქნება დამოუკიდებელი კანდიდატი, რომლის ამოცანაც იქნება, ხმები წაართვას სხვა კანდიდატებს, ხოლო „ქართული ოცნება“ თავის საკუთარ კანდიდატს დაასახელებს.

– რას იტყვით გიორგი მარგველაშვილზე? უსუფაშვილმა შესთავაზა მას კონსულტაციები, მარგველაშვილმაც დაადასტურა, რომ უახლოეს დღეებში შეხვდება. საუბარია, რომ თუ მარგველაშვილი მეორე ვადით იყრის კენჭს, „ოცნებას“ ძალიან გაუჭირდება. რას ფიქრობთ თქვენ?

– მე ვფიქრობ, რომ მარგველაშვილი არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას და ვფიქრობ, რომ ის კულუარულ და არაგამჭვირვალე პროცესში მონაწილეობს.

– რას გულისხმობთ?

– აშკარაა, რომ ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ გეგმავს და ქმნის იმიტაციას, რომ ვითომ მიიღებს მონაწილეობას. თვითონ ამბობს, ჯერ არ გადამიწყვეტია, რას ვიზამო, სინამდვილეში კი მას უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობს არ მიიღებს! ბოლო წუთამდე ტოვებს ინტრიგას. თუ რატომ და რა მიზნით, ეს სამომავლოდ გამოჩნდება.

სახელმწიფო უწყებებმა 3 მილიონი ლარის 136 „ნივა“ შეიძინეს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის მიხედვით, ბოლო 5 წელში საქართველოს საჯარო უწყებებმა 3 მილიონ ლარამდე ღირებულების რუსული ავტომობილი „ნივა“ შეიძინეს.

ყველაზე მეტი – 50 „ნივა“ სახელმწიფო კომპანიამ შპს „საქართველოს ფოსტამ“ შეიძინა და ჯამში 1.151.500 ლარი გადაიხადა. შემდეგ მოდის აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 721.230 ლარის ღირებულების 31 „ნივით“. შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიამ“ კი ერთი ტენდერით შეიძინა 570.000 ლარის ღირებულების 30 „ნივა“.

სახელმწიფო უწყებებს რუსული წარმოების „ნივას“ კომპანია „გლობალ მოტორს ჯორჯია – ჯი ემ ჯი“ აწვდის, რომელიც 2011 წელს დაფუძნდა, სახელმწიფო შესყიდვებში კი მონაწილეობას 2012 წლის ბოლოდან იღებს. კომპანიის დამფუძნებელი გოჩა როსტიაშვილი „ქართული ოცნებიდან“ თბილისის საკრებულოს წევრის შალვა ოგბაიძის დეიდაშვილია.

– აღსანიშნავია, რომ ერთი შემთხვევის გარდა, ყველა ტენდერში, სადაც კომპანია „გლობალ მოტორს ჯორჯია – ჯი ემ ჯიმ“ გაიმარჯვა, კომპანია კონკურენტების გარეშე იყო, მხოლოდ მან გააკეთა შეთავაზება ავტომობილების მიწოდებაზე.

„ნივა“ იმარჯვებდა ისეთ ტენდერებში, სადაც ავტომობილების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე მინიმალური მოთხოვნები იყო და ამავე დროს, 1 ავტომობილის შესყიდვაზე 18.000 -27.000 ლარი იყო გამოყოფილი.

„გლობალ მოტორს ჯორჯია – ჯი ემ ჯის“ მიერ „ნივით“ მოგებულ ტენდერებში ავტომობილის საგარანტიო პერიოდად 6 თვე (ან 35.000 კილომეტრის გავლამდე) ან 1 წელია მითითებული. ჩვეულებრივ, როდესაც მსუბუქი ავტომობილების სახელმწიფო შესყიდვებში „ნივა“ არ მონაწილეობს, სახელმწიფო უწყებებს შესასყიდი ავტომობილის საგარანტიო პირობად ერთ წელზე მეტი აქვთ მითითებული. მეტიც, სრულ ავტომობილზე საგარანტიო პირობად 3 წელი (ან 150.000 კილომეტრი), ხოლო ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი) 5 წელია მითითებული.

ერთი მხრივ კარგია, როცა სახელმწიფო უწყება ავტომობილებს შედარებით იაფად ყიდულობს, მაგრამ მეორე მხრივ გასათვალისწინებელია შესყიდული პროდუქციის ხარისხი. ავტომობილების შემთხვევაში საგარანტიო ვადად 6 თვის ან 1 წლის მოთხოვნა ძალიან მოკლე პერიოდია და მომავალში ავტომობილების მომსახურების ხარჯების მნიშვნელოვნად ზრდის რისკებს აჩენს. ეს ნაწილობრივ დასტურდება იმ ფაქტით, რომ უკვე შესყიდული „ნივების“ მომსახურების მიზნით, იმავე კომპანიასთან – „გლობალ მოტორს ჯორჯია – ჯი ემ ჯისთან“ 200.000 ლარის ღირებულების პირდაპირი შესყიდვის კონტრაქტებია გაფორმებული სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების და აქსესუარების შეძენისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა ის, თუ რამდენად მიზანშეწონილია, რომ ოკუპანტ ქვეყანაში, რუსეთში წარმოებულ პროდუქციის შესყიდვაზე სახელმწიფო ფინანსები იხარჯებოდეს? ვინაიდან საქართველოში მოქმედი შესყიდვების კანონმდებლობა რუსული პროდუქციის შეძენაზე მსგავს შეზღუდვებს არ ითვალისწინებს, ასეთი შემთხვევები მხოლოდ ავტომობილების შესყიდვისას არ გვხვდება. აქედან გამომდინარე, ზოგადად ეს საკითხი შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობის პრობლემადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

საერთაშორისო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც გარკვეული ქვეყნები სანქციების ქვეშ მყოფ ან/და მათ მიმართ მტრულად განწყობილი (მით უმეტეს, ოკუპანტი) ქვეყნისგან პროდუქციის შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტის ფულის დახარჯვაზე უარს ამბობენ.

– რთულია დავთვალოთ, წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვებიდან რა თანხა იხარჯება რუსულ პროდუქციაზე, რადგან უმეტეს შემთხვევებში რუსული პროდუქციის მიმწოდებლები საქართველოს რეზიდენტ კომპანიებად არიან დარეგისტრირებული და შესყიდვების ელექტრონული სისტემის პორტალი კი მიმწოდებლების წარმომავლობას მხოლოდ კომპანიების რეგისტრაციის მიხედვით აჯგუფებს და არა შესყიდული საქონლის წარმოების ადგილის მიხედვით, – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევაში.

ორგანიზაცია რეკომენდაციაა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დეტალურად შეისწავლოს კომპანია „გლობალ მოტორს ჯორჯია – ჯი ემ ჯის“ მიერ მოგებული ტენდერები, ხომ არ იყო ე.წ. მიმწოდებელზე „მორგებული“ ტენდერები; გარდა ამისა, აუდიტის სახელმწიფო სამსახურმა უნდა შეისწავლოს „ნივების“ შესყიდვაზე დახარჯული სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანობა და ცვლილებები უნდა შევიდეს სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზაში, რომელიც გარკვეულ შეზღუდვებს დააწესებს რუსული წარმომავლობის, როგორც ოკუპანტი ქვეყნის, პროდუქციის შესყიდვაზე.

რეგინფო

დავით ჭიჭინაძე „ქართული ოცნებიდან“ გარიცხეს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მოსწონს, ასეთი ბევრი პარტია მყავს ნანახი, ბევრი გამქრალა კიდეც. ქართველი ხალხის „ქართული ოცნება“ რჩება და მე მათთან ერთად ვრჩები. თუ პარტიული დისციპლინა ირაკლი კობახიძეა, მისი უღირსი განცხადებები გაიხსენონ, რომელიც დეპუტატებს შეურაცხყოფას აყენებდა, რაც პარლამენტარიზმისთვის შეურაცხმყოფელია. ყველა იმ საშიშროებას გრძნობდა, ვის მიმართაც შემდეგი გალაშქრება მომიწევდა და ხელი სასწრაფოდ მოაწერეს. ვინც ხელს აწერს, მათ მიმართ კითხვები არსებობს, – აცხადებს ჭიჭინაძე.

მისი თქმით, კოალიციაში ბევრი პარტიაა და დროებით რომელიმე მათგანში გაწევრიანდება. ვარაუდობს, რომ „ოცნებიდან“ რამდენიმე პარტიასაც გარიცხავენ.

– ალბათ, უმრავლესობიდან ამ პარტიებსაც გარიცხავენ, რომელსაც ყველაზე ძალიან უჭირს, იქ გადავალ. იმდენად არასერიოზული გადაწყვეტილება მიიღეს, მათ ასეთივე არასერიოზულობით ვპასუხობ. ალბათ, ეს იმათი გადაწყვეტილებაა, ვისაც ხელმომწერებში ხედავთ. ერთმანეთს კარგად უგებენ. ჩემს გზას გავაგრძელებ, იგრძნეს, რომ ვადამდელი არჩევნები ახლოვდება და მაგას მაინც ვერ გადაურჩებიან. საზოგადოება დამეხმარება, რომ ქართულმა პარლამენტმა ამ შემადგენლობით თავისი რეალური მხარდაჭერა და რეალური სახე დაინახოს. ჩემს ამომრჩეველს მოვთხოვ, რომ დაანახოს, ესენი რას წარმოადგენენ. პარტიიდან კი არა, საზოგადოებიდან გარიცხვა როგორ უნდა, მაგათ ვაჩვენებ. ამაში ჩვენი საზოგადოება დამეხმარება. ბევრს მიადგებიან, ალბათ, ჰგონიათ, რომ დასჯის მექანიზმი ესაა. დეპუტატს რა თავისუფლებაც სჭირდება, ის მომანიჭეს. ვისთანაც პიროვნული ურთიერთობა მაქვს, არ მგონია, ამის გაფუჭება შეძლონ, – უთხრა „პირველი არხის“ ეთერში ჭიჭინაძემ.

ოკუპირებული აფხაზეთის რეჟიმი მოსახლეობას კონტროლს უწესებს

დოროთე დბარის სკანდალური განცხადება

მარიამ მჭედლიშვილი



„ახალი თაობა“ წერდა, რომ აფხაზეთის მთავრობის მეთაურმა უცხოეთში ჩასვლა და იქ შეხვედრებში მონაწილეობა აუკრძალა აფხაზეთში მოქმედ რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ამას მოჰყვა გალის გამგებლის გულმოდგინება. გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გამოაცხადა, რომ რაიონის ტერიტორიაზე დაგეგმილი ნებისმიერი საზოგადოებრივი ინიციატივა, მაგალითად, ფეხბურთის მატჩი სკოლის ბავშვების მონაწილეობით, მასთან უნდა შეათანხმონ.

საოკუპაციო რეჟიმი ამას არ დასჯერდა და მეორე მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი „საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ“. მასში დეტალურადაა აღწერილი ასეთი ფორმირებების ამოცანები და საქმიანობის არეალი. ამ პროექტით, საზოგადოებრივი ორგანიზაციები იქმნება მოქალაქეთა ეკონომიკური და სოციალური უფლებებისა და თავისუფლებების, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცავად.

აკრძალულია ისეთი გაერთიანებების შექმნა, რომლებიც მიზნად ისახავენ კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივად შეცვლას და „სახელმწიფოს“ უსაფრთხოების მოშლას.

ბუნებრივია, რომ აფხაზეთშიც აკრძალულია გასამხედროებული ფორმირებების შექმნა.

ასეთ რეგულაციებს შიშის ელფერი დაჰკრავს. როგორც ჩანს, ხაჯიმბას ადმინისტრაციას მოსვენებას უკარგავს არა მხოლოდ მოსახლეობის უმრავლესობის უკმაყოფილება და ოპოზიციის მკვეთრი შეფასებები, არამედ, არასამთავრობო სექტორიც, რომელსაც, შესაძლოა, ჰქონდეს კონტაქტები დასავლეთთან.

საზოგადოებამ ორიოდე თვის წინ გააპროტესტა ახალი სწრაფი რეაგირების სპეცრაზმის შექმნა. ითქვა, რომ ეს გაუმართლებელი დამატებითი ხარჯია იმ დროს, როცა აფხაზეთის მწირი თანხები ისედაც ხმარდება რამდენიმე ძალოვანი სტრუქტურის შენახვას.

ხალხის დამოკიდებულების მიუხედავად, ახალი სპეცრაზმი მაინც ჩამოყალიბდა. ხაჯიმბას რეჟიმი სამოქალაქო სექტორსაც მიადგა. სამოქალაქო აქტივისტებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე კონტროლი წესდება.

იურისტი საიდ გაზერდავა აღნიშნავს, რომ სახალხო კრება-პარლამენტი ამ კანონპროექტს რეგლამენტის დარღვევით იხილავს.

პირველი მოსმენა 2012 წელს გაიმართა, შემდეგ მისი განხილვა გადაიდო. მეორე მოსმენა ერთი დღის წინ მოხდა, რაც უკანონოა. რამდენიმე წლის შემდეგ არ შეიძლებოდა კანონპროექტის განხილვის გაგრძელება.

მისთვის გაუგებარია, რატომ უსაზღვრავს ხელისუფლება საზოგადოებრივ გაერთიანებებს საქმიანობის სფეროებს და ამოცანებს. ამით საზოგადოებრივი ორგანიზაციები დამოკიდებული ხდებიან სახელმწიფოსა და მის კონტროლზე. პროკურატურის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობა.

იურისტის თქმით, ეს აქამდე მოქმედ კანონთან შედარებით უკანდახევაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მიღება დაუშვებელია.

ავტორიტარიზმისკენ გადახრილ საოკუპაციო ხელისუფლებას და მის ჩინოსნებს სხვა რამის გამო მკაცრად აკრიტიკებს სხვა სფეროს გავლენიანი წარმომადგენელი – არქიმანდრიტი დოროთე დბარი, რომელიც კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის ქვემდებარედ მიიჩნევს თავს და აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიისათვის იბრძვის.

მისი განცხადებით, ახლანდელმა ჩინოსნებმა აფხაზეთის დამოუკიდებლობის იდეა საკუთარ კეთილდღეობას ანაცვალეს:

– ყველა ცდილობს, დაიკავოს ადმინისტრაციული სავარძელი, რათა შემდეგ მოიხვეჭოს მატერიალური კეთილდღეობა. ასეთი ადამიანები ძარცვავენ საკუთარ მომავალს. ისინი არც მალავენ, რომ კეთილდღეობას დამოუკიდებლობის იდეაზე ცვლიან.

არქიმანდრიტმა ისიც აღნიშნა, რომ აფხაზების ნაწილი არ ახდენს იმ ქონებისა და შემოსავლების დეკლარირებას, რომლებიც კორუფციული გზით იშოვა.

ასეთი განცხადება მით უფრო სკანდალურად გაისმის იმ ფონზე, როცა აფხაზეთის ჩვეულებრივი შემოსავლები შემცირებულია, ეკონომიკა – გაჩერებული, რეგიონის ბიუჯეტი კი – შეუსრულებელი.

საგზაო ჭენდერებით პროკურატურა დაგვიანებით დაინტერესდა

რამდენიმე დღის წინ საგამოძიებო ორგანო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის ზურაბ ალავიძის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის საქმიანობით დაინტერესდა. ყოფილ მინისტრები პროკურატურაში გამოკითხვაზე დაიბარეს.

მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცალკეულ მოხელეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების მართლსაწინააღმდეგოდ მითვისება/გაფლანგვის ფაქტებზე. გიდასტურებთ, რომ ხსენებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოიკითხნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრი ზურაბ ალავიძე. საქმეზე გრძელდება გამოძიება და შედეგების შესახებ დამატებით ეცნობება საზოგადოებას, – განუცხადეს „აიპრესს“ მთავარ პროკურატურაში.

დადგება თუ არა ყოფილი მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხი, ამის შესახებ პროკურატურაში კომენტარი არ კეთდება. „აიპრესის“ ინფორმაციით, ზურაბ ალავიძის მიმართ, არაა გამორიცხული, შეკითხვები საავტომობილო გზების დეპარტამენტში ჩატარებულ ტენდერების საკითხს ეხებოდეს. „კომერსანტი“ არაერთხელ წერდა იმაზე, რომ საქართველოს ყველა რეგიონში არსებობს გზის გარკვეული მონაკვეთი, სადაც ავარიები ხშირად ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით იმ ადგილებში რაღაც გამართული არ არის. ერთ-ერთი ასეთი კი, ქუთაისის შემოვლითი გზაა.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ საგზაო შემთხვევებში დამრღვევი მძღოლების პასუხისმგებლობა შევარბილოთ ან გამოვრიცხოთ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში არაკვალიფიციური სახელმწიფო მოხელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უფრო მეტად სახიფათოა, ვიდრე თავად დამრღვევი მძღოლი.

როდესაც გზის ერთსა და იმავე მონაკვეთზე ავტოსაგზაო შემთხვევები ხშირია, ეს იმის მაჩვენებელია, რომ იქ უსაფრთხოების ნორმები დარღვეულია. სახელმწიფო ვალდებულია, რომ გზის ეს მონაკვეთები შეისწავლოს და ავარიების კონკრეტული მიზეზი დაადგინოს. შესაძლოა, იმ მიზეზის აღმოჩენამ და შემდგომ გამოსწორებამ იმ ადგილებში გადაადგილება უსაფრთხო გახადოს. ასე იყო ქუთაისის შემოვლით გზაზეც, რომელიც 2014 წლის ნოემბერში მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ინფრასტრუქტურის იმჟამინდელმა მინისტრმა გიორგი შავლიაშვილმა გახსნეს. გახსნიდან რამდენიმე თვეში, ქუთაისის შემოვლითი გზა მძღოლებისთვის ერთგვარ „ხაფანგად“ იქცა, იქ ავარიები თითქმის ყოველდღიურად ხდებოდა და ხშირად ფატალური შედეგებით სრულდებოდა.

იმ დროს „კომერსანტი“ ერთ-ერთი მედიასაშუალება იყო, რომელიც აქტიურად წერდა, რომ ქუთაისის შემოვლითი გზა იყო სახიფათო, მოუწესრიგებელი და რეალურად, მისი მშენებლობა არ იყო ბოლომდე დასრულებული. ჩვენ ხელისუფლებას მოვუწოდებდით კიდეც, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაედგა. ინფრასტრუქტურის მაშინდელ მინისტრს ნოდარ ჯავახიშვილსაც კი შევთავაზეთ, რომ ქუთაისის შემოვლით გზაზე საღამოს ერთად გაგვევლო და გვენახა, თუ რა საფრთხის შემცველი იყო იქ გადაადგილება. თუმცა იმ პერიოდში ჩვენ ამ თხოვნას თუ მოწოდებას ხელისუფლებაში ყურადღებას არავინ აქცევდა და ასე გაგრძელდა 2017 წლამდე. არადა, ამ 3 წლის განმავლობაში, გზის ამ მონაკვეთის მოუწესრიგებლობის გამო მომხდარი ავარიების შედეგად არაერთი ოჯახი გაუბედურდა.

მოგვიანებით ხელისუფლებაში, კერძოდ კი, საავტომობილო გზების დეპარტამენტში მიხვდნენ, რომ 2-ზოლიანი გზა იყო სახიფათო და ის 4-ზოლიანად უნდა გადაკეთებულიყო. დღეს ქუთაისის შემოვლით გზაზე მოძრაობა ცალმხრივია და ასე დარჩება, ვიდრე მონაკვეთი 4-ზოლიანი არ გახდება. ცალმხრივად გზის გადაკეთებამ კი „შედეგი“ გამოიღო, ბოლო რამდენიმე თვეა იქ ავარია არ მომხდარა.

ასეთ დროს კი ისმის კითხვა – საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლები მორალურ პასუხისმგებლობას გრძნობენ თუ არა იმ ადამიანებზე, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში ქუთაისის შემოვლითი გზაზე დაიღუპნენ? ის რომ, დღეს გზა ცალმხრივია და ის რომ, დღეს იქ ავარიები აღარ ხდება, ხომ ცალსახად იმაზე მიუთითებს, რომ მაშინ რაღაც არასწორად გაკეთდა და აუცილებელი იყო პირველივე თვეებში ქმედითი ღონისძიებები გატარებულიყო.

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და ყველა პასუხისმგებელმა პირმა, რომელთაც საქართველოს გზები აბარიათ, უნდა გაითავისონ, რომ მათი მოვალეობა არ არის მხოლოდ ასფალტის დაგება და გზებზე ორმოულების ამოვსება. მათი მოვალეობა არის ის, რომ ახალი გზები ისე დააპროექტონ და უკვე აშენებულებზე ისეთი სამუშაოები ჩაატარონ, რომ გადაადგილება მაქსიმალურად უსაფრთხო იყოს, მათ შორის, იმ მძღოლებისთვის, რომლებმაც შესაძლოა, სიჩქარეს გადააჭარბოს. უნდა იცოდნენ, რომ მათ კვალიფიკაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და თუ ცოდნა არ ყოფნით, ამას უკვე სახელმწიფომ უნდა მიხედოს.

კომერსანტი

რომელ ქვეყნებში და რატომ ყიდულობენ ქართველები უძრავ ქონებას

ქართველების მხრიდან საზღვარგარეთ უძრავი ქონების შეძენაზე მოთხოვნა იზრდება. როგორც კომპანიის Propertyabroad საქართველოს წარმომადგენლობაში „ბიზნესპრესნიუსს“ განუცხადეს, ყველაზე მზარდი მოთხოვნა ფიქსირდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, თურქეთსა და ამერიკაზე.

კომპანიაში აცხადებენ, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად ტენდენცია შეიცვალა და ბინის შეძენის მსურველები უპირატესობას არა დიდ, არამედ პატარა ქალაქებს და მცირე ზომის დასახლებულ პუნქტებს ანიჭებენ.

Propertyabroad-ის ინფორმაციით, საზღვარგარეთ უძრავი ქონებისადმი გამოთქმული და რეალურად გამოჩენილი ინტერესი ხშირად ერთმანეთისგან განსხვავდება – თუ თეორიულად ყველაზე მეტი ინტერესი დასავლეთ ევროპული ქვეყნების მიმართ ჩნდება (გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი), მსყიდველუნარიანობის და შეძენის პროცედურების სიმარტივის გათვალისწინებით უფრო მეტად რეალიზდება უძრავი ქონების ობიექტები შედარებით დაბალფასიან სეგმენტში (თურქეთი, საბერძნეთი და ა.შ.). მათივე პოზიციით, საზღვარგარეთ უძრავი ქონების შეძენის მსურველები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან იმ ვარიანტებით, სადაც შესაძლებელია უძრავი ქონების შეძენა იპოთეკური სესხის მიღებით. ეს მათ, ერთი მხრივ, უმცირებს პირველადი შენატანის მოცულობას, მეორე მხრივ კი გზას უხსნის ევროპული საბანკო ინსტიტუტებისკენ.

ამასთან, როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, გაცილებით მეტი პოტენციური კლიენტი ინტერესდება არა მხოლოდ საკუთარი ცხოვრების ან დასვენების პირობებით, არამედ იმითაც, თუ როგორი იქნება მათთვის საინტერესო უძრავი ქონების გაქირავების პერსპექტივა და აქედან რა შემოსავალი შეიძლება მიიღოს (ეს კატეგორია დღეს უფრო მრავალრიცხოვანი გახდა). ასევე მატულობს მათი რიცხვიც, ვინც უძრავ ქონებაში დაბანდებას მხოლოდ საინვესტიციო ინსტრუმენტად განიხილავს – ყიდულობს დღეს შედარებით იაფად, რათა მომავალში უფრო ძვირად გაყიდოს და ამით ნაზოს სარგებელი.

– უძრავი ქონების შეძენის მხრივ ევროპული ბაზარი რჩება მუდმივად საინტერესო მიმართულებად. თუმცა, ცალკეული ქვეყნების მიხედვით პრობლემურია უძრავი ქონების შესყიდვის თანამდევი პროცესები, რაც ხშირად დამატებით ხარჯებს და დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის აუცილებლობას უკავშირდება. ამის მიუხედავად, ბოლო პერიოდში შეინიშნება ინტერესის მატება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ (ლატვია, ჩეხეთი, ხორვატია, მონტენეგრო, პოლონეთი).

ბაზარზე გაჩენილი ტენდენციების გათვალისწინებით, იკვეთება ახალი ძალიან საინტერესო და მიმზიდველი მიმართულებებიც. მაგალითად, მზარდ ინტერესს იწვევს ამერიკის ბაზარი, სადაც უძრავი ქონების კონკრეტული შეთავაზებები საინვესტიციო ვიზის მიღების და ბინადრობის უფლების მოპოვებას უკავშირდება. გაჩნდა ინტერესი ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით (უპირატესად, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, კერძოდ, დუბაისა და აბუ დაბიში და აზიის პოპულარულ საკურორტო ქვეყნებში (ტაილანდში). საინტერესოა ევროპის ის ქვეყნებიც, სადაც უძრავი ქონების შეძენა ასევეა დაკავშირებული ბინადრობის პრობლემის შესაძლო გადაჭრასთან (მაგალითად, მალტა, კვიპროსი და ა.შ.), – განუცხადა „ბიზნესპრესნიუსს“ კომპანია Property Abroad-ის მმართველმა პარტნიორმა თათია კობრეშვილმა.

რაც შეეხება იმას, თუ რა ტიპის უძრავ ქონებას ყიდულობენ ქართველები უცხოეთში, თათია კობრეშვილის თქმით, აქ ერთი კონკრეტული ტიპის ყველაზე მიმზიდველი უძრავი ქონების გამოყოფა რთულია, ვინაიდან ინტერესის გამოხატვის ეტაპზე უფრო სხვა ფაქტორები გამოდის წინა პლანზე:

– კერძოდ: შესაძენი უძრავი ქონების ღირებულება, იპოთეკური კრედიტის მოზიდვის შესაძლებლობა და ნაყიდი ობიექტის გაქირავების პერსპექტივა. ეს ფაქტორები ხშირად უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება ხოლმე, ვიდრე უძრავი ქონების ტიპი.

თუმცა, კონკრეტული ბაზრების მიხედვით ცალკეული ტენდენციებზეც შეგვიძლია ვისაუბროთ: მაგალითად, გერმანიაში უფრო მრავალბინიან სახლებში ყიდულობენ უძრავ ქონებას, სადაც ბინები კარგად ქირავდება.

ასევე ინტერესის საგანია წილობრივი შესყიდვები იმ ქონებაში, რომელსაც ჰყავს რამდენიმე თანამესაკუთრე, ობიექტი კი გრძელვადიანი იჯარით არის გაცემული (სუპერმარკეტები და სხვა ტიპის სავაჭრო ობიექტები, ქსელური რესტორნები, საწყობები და ა.შ.). ესპანეთში უფრო ზღვისპირა დასახლებებს ეტანებიან, თუმცა აქაც ფასიდან გამომდინარე ხდება არჩევანის გაკეთება, შესაბამისად, ბინები უფრო მიმზიდველია, ვიდრე ვილები. ამერიკაში ინტერესის ლიდერები ნიუიორკი და მაიამია. ვილების და სხვა ტიპის კერძო სახლების მიმართ ინტერესი უფრო მაღალი იმ ქვეყნებშია, სადაც ეს ქონება უფრო ხელმისაწვდომია (იგივე თურქეთი და საბერძნეთი), – განაცხადეს ორგანიზაციაში.

რაც შეეხება ფასებს, თათია კობრეშვილის თქმით, უძრავი ქონების ფასი დიდწილად გამომდინარეობს ადგილმდებარეობიდან, ყიდვის პირობებიდან, ობიექტის არსებული მდგომარეობიდან და კიდევ ბევრი სხვა მსხვილმანი თუ წვრილმანი გარემოებიდან. მაგალითად, თურქეთში სასტუმროს ტიპის სახლებში ოთახის შეძენა 40 ათასი ევროდანაც შეიძლება. ზოგჯერ ამავე ფასად შეიძლება წააწყდეთ ბინას მრავალბინიან სახლში თუნდაც გერმანიაში, შედარებით ნაკლებად აქტიურ რომელიმე ფედერალურ მიწაზე.

– რაც შეეხება ღირებულების ზედა ზღვარს, ის პრაქტიკულად განუსაზღვრელია – ნიუ-იორკში, მაგალითად, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია ნორმალურ კონდიციებში მყოფი არსებული ან მშენებარე ობიექტის ყიდვა მილიონ დოლარზე იაფად. დამატებითი მიმზიდველი ფაქტორების არსებობის და ბაზრის პერმანენტული ზრდის გათვალისწინებით, უძრავი ქონების კონკრეტული ობიექტის ფასი კიდევ უფრო მატულობს. იგივე სურათია ლონდონში, ბარსელონაში, დუბაიში, პარიზში და სხვა მუდმივად მიმზიდველ ქალაქებში, – განაცხადა თათია კობრეშვილმა.

Propertyabroad ქართულ ბაზარზე ორიოდე წლის წინ შემოვიდა და ის მომხმარებელს საზღვარგარეთ უძრავი ქონების ყიდვის პროცედურებთან დაკავშირებით კონსულტაციას უწევს.

ბან

რა ქონებას ფლობს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილედ გიგა კაცია მიმდინარე წლის მაისში დაინიშნა. მანამდე კი, როგორც 2018 წლის 6 ივლისს შევსებულ დეკლარაციაშია აღნიშნული, კაცია „თიბისი ბანკსა“ და „კარგო მარკეტში“ მუშაობდა.

კერძოდ, 2017 წლის 1-ელი იანვრიდან 3 ივლისის პერიოდში „თიბისი ბანკის“ კორპორატიული დირექტორის მოადგილედ მუშაობისას მისი ანაზღაურება – 317.020 ლარი; „კარგო მარკეტის“ მრჩევლობისას კი 2017 წლის 10 ივლისიდან 31 დეკემბრის პერიოდში მისი ანაზღაურება 15.000 ლარი იყო.

ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, გიგა კაცია ფლობს 149,4 კვადრატული მეტრი ფართობის ბინას თბილისში; ასევე 600 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთსა და 360 კვ. მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლს დედაქალაქში. მასვე ეკუთვნის მსუბუქი ავტომობილი „ჰუნდაი სანტაფე“.

ამასთან, როგორც დეკლარაციაშია მითითებული, კაცია ფლობს ასევე TBC BA#K GROUP-ის 2807 აქციას, რომელიც 2015 წელს აქვს შეძენილი.

რაც შეეხება მის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე – 3.475 დოლარი; 1.407 გირვანქა სტერლინგი; 5.537 ლარი და 1,74 ევრო ჰქონდა.

ამასთან, კაცია ფლობს შპს „კარგო მარკეტისა“ და „ქართული პროდუქტების“ 20% და 50%-იან წილებს, რომელიც სამართავად სერგი ლეჟავასთვის აქვს გადაცემული. გარდა ამისა, როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, კაციამ 2.593 გირვანქა სტერლინგად გაყიდა აქციები, თუმცა, რომელი კომპანიის აქციებზეა საუბარი, მითითებული არ არის.

გიგა კაციას ჰყავს მეუღლე და 4 შვილი. მისი მეუღლე ფლობს 94 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლს ბაკურიანში; მასვე ეკუთვნის მსუბუქი ავტომობილი „კია რიო“; დეკლარაციის შევსების მომენტში კი საბანკო ანგარიშზე 300 ლარი ჰქონდა.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცნობით, გიგა კაცია 2012-2017 წლებში „თიბისი ბანკში“ კორპორატიული დირექტორის მოადგილედ მუშაობდა. მანამდე ამავე ბანკში, გენერალური დირექტორის მრჩეველი იყო. 2009 წელს „ვითიბი ბანკის“ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა, მანამდე კი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მთავარი ბანკირი იყო. იგი სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა ასევე ბანკ „რესპუბლიკაში“.

ბპნ

საქართველომ ღია მმართველობის პარტნიორობის სამიტს რეზოლუციის მიღება შესთავაზა

საქართველომ ღია მმართველობის პარტნიორობის სამიტს რეზოლუციის მიღება შესთავაზა. როგორც პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ განაცხადა, რეზოლუციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ღია მმართველობის პრინციპები და მიდგომები, რომელიც საფუძვლად უდევს დემოკრატიულ და გამჭვირვალე მმართველობას.

– პარტნიორობის მთავარი ღირებულება გამოცდილების გაზიარებაა, რაც დიდ დახმარებას გვიწევს გრძელვადიანი შედეგების მიღწევაში. გამოცდილების გაზიარებასთან ერთად ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა ვიმსჯელოთ არსებულ გამოწვევებზე. ღია მმართველობის ლიდერთა გაერთიანებით შესაძლებელი გახდება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა და შედეგზე ორიენტირებული ვალდებულებების აღება. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ღია მმართველობის პარტნიორობა, ეს არის პირველ რიგში მოქალაქეებისთვის ხელშესახები ცვლილებების მიღების შესაძლებლობა, საქართველო, ისევე, როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის სხვა ქვეყნები, კვლავ დგას გამოწვევების წინაშე, ამიტომ სამიტის ფარგლებში ჩვენ მმართველ კომიტეტს შევთავაზებთ რეზოლუციის მიღებას, სადაც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ღია მმართველობის პრინციპები და მიდგომები, რომელიც საფუძვლად უდევს დემოკრატიულ და გამჭვირვალე მმართველობას, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერის თქმით, საქართველომ, როგორც თავმჯდომარე ქვეყანამ, ოთხი მთავარი მიზანი დაისახა – მოქალაქეთა ჩართულობისა და თანამშრომლობის გაძლიერება, მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, საჯარო სერვისების მიწოდებაში ინოვაციების დანერგვა და ღია მმართველობის პარტნიორობის, როგორც ინიციატივის გაძლიერება და განმტკიცება.

– მადლობას გიხდით კიდევ ერთხელ ჩვენს ქვეყანაში ჩამობრძანებისთვის. აქ თქვენ შესაძლებლობა გექნებათ შეიგრძნოთ უნიკალური კულტურა, რომელიც არის საერთო ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, მოუსმინოთ ჩვენს ფოლკლორს და გასინჯოთ ჩვენი ღვინო, – მიმართა პრემიერმა სტუმრებს.

სამედიცინო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეზოებში თამბაქოს მოწევა, შესაძლოა, დასაშვები გახდეს

– „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონში ცვლილებების მომზადება იგეგმება, რომლის გათვალისწინებით, შესაძლოა, თამბაქოს მოწევა სამედიცინო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეზოებში, სპეციალურად მოწყობილ ადგილებში დასაშვები გახდეს, – ამის შესახებ პირველ არხს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, აკაკი ზოიძემ განუცხადა.

დეპუტატის განმარტებით, მიმდინარე წლის პირველ მაისს ამოქმედებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციებით, სამედიცინო და უმაღლესი სასწავლებლების გარე ტერიტორიებზე თამბაქოს მოწევა აკრძალულია, რაც პრაქტიკაში კონფლიქტის წყარო გახდა.

– საუბარია, უკვე აკრძალულ ტერიტორიებზე, გარკვეულ ადგილებზე მოწევა დავუშვათ, რადგან პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეს ძალიან დიდ კონფლიქტებთან არის დაკავშირებული და აღსრულებაც მძიმე პრობლემაა. მაგალითად, პაციენტი რეანიმაციაში რომ მიჰყავთ, ოჯახის წევრები აკრძალულ ტერიტორიაზე ეწევიან და საავადმყოფოს დაცვასა და ოჯახის წევრებს შორის ბევრი კონფლიქტი დაფიქსირდა, – განაცხადა დეპუტატმა.

მისი განმარტებით, საერთაშორისო მასშტაბით, ქვეყნები მსგავს აკრძალვამდე ეტაპობრივად მივიდნენ, მოწევა ჯერ შესასვლელიდან გარკვეულ მანძილამდე აიკრძალა, შემდეგ კი – სრულად.

– ამაში გარე ტერიტორია იგულისხმება, რადგან შენობაში მოწევა აკრძალულია და ეს ასეც დარჩება, – განაცხადა დეპუტატმა.

ამასთან, ზოიძის თქმით, არ შეესაბამება სიმართლეს გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს, თამბაქოს მოწევა ღია სივრცეებშიც აიკრძალება.

– ერთ-ერთ სტატიაში საუბარი იყო იმაზე, თითქოს, შესაძლებელია, თამბაქოს მოწევა ღია სივრცეებშიც აიკრძალოს, რაც აბსოლუტური უპასუხისმგებლობაა. ეს ამ კანონის მიზანმიმართული დისკრედიტაციაა, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

ამასთან, როგორც დეპუტატმა აღნიშნა, კანონში შესაძლოა, ცვლილება შევიდეს სპექტაკლის მიმდინარეობისას თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებითაც.

– დეპუტატ ნუკრი ქანთარიას წინადადება იყო, რომ სპექტაკლების დროს, თუ რეჟისორი სპეციალურ საბჭოსთან მოწევის აუცილებლობას დააასაბუთებს, მოწევა დაშვებული იყოს. ამაზე ვიმსჯელეთ და ვთქვით, რომ მოვიფიქრებთ, – აღნიშნავს აკაკი ზოიძე.

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონის თანახმად, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე ახალგაზრდობის ბანაკების, ბავშვთა გასართობი ცენტრების და 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილი სხვა დაწესებულებების შენობა-ნაგებობებსა და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, აგრეთვე, 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილ საზოგადოებრივ შეკრებებზე თამბაქოს მოწევა იკრძალება, აკრძალვა მოქმედებს სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების შენობა-ნაგებობებსა და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე.

1TV.GE

რამდენი „მარშრუტკა“ და ავტობუსი დახარვეზდა

მიმდინარე წლის 20 ივნისის მდგომარეობით, სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება ჯამში, 36,394 ავტოსატრანსპორტო საშუალებამ გაიარა. მათ შორის, დაახლოებით 75% ანუ 27,143 ავტოსატრანსპორტო საშუალება გამართული იყო.

ამასთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, 5,953 ავტოსატრანსპორტო საშუალებამ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება განმეორებით გაიარა, ხოლო 243 მათგანი დამატებით იქნა დახარვეზებული.

ცნობისთვის, იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს შორის, რომლებმაც სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება გაიარეს, 8,532 იურიდიული პირის საკუთრებაშია.

რაც შეეხება სტატისტიკას ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტიპების მიხედვით, მონაცემები ასე გამოიყურება: ჯამში, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება 15 ათასმა ავტობუსმა გაიარა. შედეგად, 11.166 ავტობუსი გამართული, 3.834 კი დახარვეზებული აღმოჩნდა.

რაც შეეხება მიკროავტობუსებს, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება სულ 513-მა „მარშრუტკამ“ გაიარა. აქედან, 318 მიკროავტობუსი გამართული, 195 კი დახარვეზებული აღმოჩნდა.

ამასთან, 20 ივნისის მონაცემებით, ინსპექტირება 3.999 სატვირთო ავტომობილმა და 4.291 ფურგონმა გაიარა. უწყების ცნობით, სატვირთო ავტომობილებიდან ინსპექტირების შედეგად 2.688 გამართული, ხოლო 1.311 დახარვეზებული იყო. ფურგონების შემთხვევაში კი 2.919 გამართული, 1.372 კი დახარვეზებული აღმოჩნდა.

ბპნ

სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება სერთიფიცირებას დაექვემდებარება

დედაქალაქში მეორე, მესამე და მეოთხე კლასის ობიექტებზე არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების, სამშენებლო პროექტისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება სერთიფიცირებას დაექვემდებარება. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დღეს თბილისის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

– არქიტექტურის სამსახურში გავამარტივეთ მართვა და ეფექტიანი გავხადეთ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. დღეს არქიტექტურის სამსახური მუშაობს გამართულად, თუმცა, საჭიროა ამ სამსახურის მონიტორინგი და ამის საფუძველზე სერვისების დახვეწა. ამჟამად ჩვენი ერთ-ერთი გამოწვევა, რაზეც ვმუშაობთ, არის ურბანული განვითარების მართვის პროცესის გაუმჯობესება, რათა დროულად მიიღებოდეს გადაწყვეტილებები, რომელიც იქნება ხარისხიანი.

იმისთვის, რომ ეს პროცესი გავაუმჯობესოთ, მნიშვნელოვანია როგორც მერიაში მაღალკვალიფიციური მომსახურება, ასევე მერიის გარეთ არსებული პროცესების მართვა და განვითარება. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, არქიტექტურისა და ურბანული მართვის სფეროში ცალკეული საქმიანობები, კერძოდ მე-2 მე-3 მე-4 კლასის ობიექტებზე არქიტექტურულ გეგმარებითი დავალებების მომზადება, სამშენებლო პროექტების მომზადება და განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება დაექვემდებაროს ლიცენზირებას.

ეს არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, რომელიც მაღალკვალიფიციურ დონეზე მომზადებას საჭიროებს, – განაცხადა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის სხდომაზე. ამასთან, ვიცე-მერს დაავალა საკანონმდებლო ცვლილებებისთვის პარლამენტთან ერთად კანონპროექტის მომზადება.

კომერსანტი

„თუ არქიტექტორის ნახაზი და კონცეფცია მუნიციპალიტეტისთვის მიუღებელია, უწყებამ პროექტზე უბრალოდ უარი უნდა თქვას“

– ყველას, ვისაც აქვს უმაღლესი არქიტექტურული განათლება, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ შემოქმედებით საქმიანობაში თავისუფლება მიეცეს, – ასე ეხმაურება დეველოპერული კომპანია „რედკოს“ პროექტების მენეჯერი მალხაზ კუნელაური კახი კალაძის დღევანდელ განცხადებას. თბილისის მერის ინფორმაციით, სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება სერტიფიცირებას დაექვემდებარება. კუნელაური მიიჩნევს, რომ თუ არქიტექტორის ნახაზი და კონცეფცია მუნიციპალიტეტისთვის მიუღებელია, უწყებამ პროექტზე უბრალოდ უარი უნდა თქვას.

– პირველ რიგში გასარკვევია, ვინ ახდენს არქიტექტორის სერტიფიცირების და ის რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. თუ პროექტის გასაკეთებლად აუცილებელია პირს ჰქონდეს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, არქიტექტურის სპეციალობით მაშინ ვეთანხმები საკითხს. მთავარია ცვლილებებს საფუძვლად არ დავუდოთ ისეთი რეგულაცია, რომელიც არქიტექტორს შეზღუდავს, რადგან ეს გამოიწვევს იმ პროდუქტის გაძვირებას რომელსაც საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა ჰქვია, – განაცხადა მალხაზ კუნელაურმა.

მალხაზ კუნელაური ამბობს, რომ ლიცენზირება ბაზარზე დამატებით რეგულაციებს იწვევს, ზრდის ბიუროკრატიულ პროცედურებს და აძვირებს პროდუქტს:

– ლიცენზირება ხდება ისეთ პროდუქტზე, როგორიც არის წიაღისეულის მოპოვება. ეს მსჯელობის საკითხია რამდენად სჭირდება ურბანისტიკას ლიცენზია. არქიტექტორი არის შემოქმედებითი სფეროს განმახორციელებელი პირი, მისი პროდუქტი შემოქმედებითი აზროვნებიდან გამომდინარეობს და ამის რეგულაციებში მოქცევა მე სწორად არ მიმაჩნია, – აცხადებს მალხაზ კუნელაური.

კომერსანტი

ბიზნესს 550 მლნ ლარის დავალიანება ჩამოეწერება

2013 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ბიზნესისთვის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის ინიციატივა პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს ეკუთვნის. იმისთვის, რომ ბიზნესმა განაგრძოს სრულფასოვანი საქმიანობა, ბახტაძემ განაცხადა, რომ დავალიანება 36 000 გადამხდელს ჩამოეწერებოდა. საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა პირველი მოსმენით დღეს განიხილა. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ, კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, ინიციატივა 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოქმნილ საგადასახადო დავალიანებებს, მასზე დარიცხულ ჯარიმებსა და სანქციების ჩამოწერას გულისხმობს.

მისი თქმით, ჯამში აღნიშნული ინიციატივა არა 36.000 გადამხდელს, არამედ დაახლოებით 28.000-მდე გადამხდელს შეხება. ჯამური თანხა კი, რისი ჩამოწერაც მოხდება ცვლილების შედეგად, არის 550 მილიონი ლარი.

საგადასახადო კოდექსში ცვლილებებს პირველი მოსმენით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მხარი დაუჭირა.

მაკა ასათიანი ეკა გიგაურს – საკვირველია, რატომ ხართ კულისებში

მაკა ასათიანი ეკა გიგაურს ღია წერილით მიმართავს

წერილს „კომერსანტი“ უცვლელად გთავაზობთ:

საქმე ეხება ბოლო პერიოდში ორგანიზაციის მიერ 5 ივლისს გამოქვეყნებული კვლევის „კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში“ გარშემო განვითარებული მოვლენების საპასუხოდ, სადაც „მერსედესის“ საქმე ცალმხრივად თუ მიკერძოებულადაა მოხსენიებული.

– ჩემთვის ძალიან საკვირველია, რატომ ხართ კულისებში. ჩემი მომართვიდან დღეს უკვე მეათე დღეა და მაშინ, როდესაც „უსამართლობის“ შემყურე, თქვენი მხრიდან სხვადასხვა საკითხზე ღია და ხმამაღალი კომენტარები

მსმენია, ახლა როდესაც ეჭვქვეშ დგება თავად თქვენი ორგანიზაციის სანდო რეპუტაცია, თქვენი პასუხი მხოლოდ დუმილია. ამას შესაძლოა ორი მიზეზი ჰქონდეს – ერთი, რომ გააზრებული გაქვთ თქვენი შეცდომა და დუმილით ცდილობთ „ხმაურის ჩახშობას“ და პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას და მეორე, რომ დაფინანსებული პროექტის „შესრულების“ შემდეგ, თქვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად უსამართლოდ მოექცევით ბიზნესის წარმომადგენლებს თუ ცალკეულ პიროვნებებს და ოჯახს. ვფიქრობ, მაშინ როდესაც ხელმძღვანელობთ ასეთ დიდ ორგანიზაციას, რომელსაც საზოგადოების ნდობა აქვს მოპოვებული, თქვენი მხრიდან დუმილი არა მხოლოდ ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ, არამედ მთელი საზოგადოების მიმართ უპატივცემულობას გამოხატავს.

სრულიად არაადეკვატური იყო თქვენი მკვლევარების ზედაპირული დამოკიდებულება, რომ მას შემდეგ, რაც ცრუ ინფორმაციას გამოაქვეყნებთ და ამით შელახავთ ოჯახის თუ გიგანტი კომპანიის წარმომადგენლობის „მერსედესის“ ღირსებას, თურმე არ გაქვთ შესაბამისი დრო, რომ საკითხი თავიდან, ამჯერად ობიექტურად შეისწავლოთ. კიდევ უფრო არაადეკვატური იყო მათი მხრიდან „მერსედესის“ საქმის გირგვლიანისა და მიწების საქმეებზე შედარება, სადაც აშკარად სახელმწიფოს მონაწილეობები იყო გამოკვეთილი. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჩვენ მიმდინარე გამოძიებისთვისაც გვაქვს მიწოდებული ინფორმაცია, რომ სწორედ გირგვლიანის მკვლელობაში მონაწილე პირები იდგნენ იმ ადამიანის გვერდით, რომელმაც იმ პერიოდში ჩემი ოჯახის კუთვნილი წილი მიითვისა და ვის მიერაც, ცალმხრივად მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაგვწამეთ ცილი.

მე ჩემ მიერ გაცხადებული პირობის შესაბამისად, დავიწყე სამართლებრივ ურთიერთობაზე გადასვლა, რაც კიდევ ერთხელ გულწრფელად ვამბობ, რომ არ მინდოდა, დავიწყე თქვენს დონორებთან კომუნიკაცია და ამ ყველაფრის ფონზე, ვრჩები გაოცებული, თუ რამდენად უმნიშვნელო აღმოჩნდა ეკა გიგაურისთვის მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციის მიერ ჩადენილი უსამართლობა.

არ მიმაჩნია სწორად, როდესაც ახალგაზრდა ადამიანების ზურგს ამოეფარეთ, ამიტომ მოგმართავთ პირადად თქვენ – თქვენი, როგორც ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობაა ორგანიზაციის სახელით გავრცელებული ნებისმიერი კვლევა თუ განცხადება, ამიტომ ვფიქრობ აუცილებელია, საზოგადოებამ იცოდეს პირადად თქვენი პოზიცია და დამოკიდებულება საკითხთან დაკავშირებით.

„მინდია ლავასოღლის შსს-მ საქართველო იძულებით დაატოვებინა“

მასშტაბური სპეცოპერაცია ბათუმში

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „კანონიერ ქურდ“ მინდია გორაძეს, იგივე ლავასოღლის, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ბრალი წარედგინა.

„მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის ფარული მიყურადების შედეგად, 1981 წელს დაბადებულ მინდია ლავასოღლის, კანონიერი ქურდობის და ქურდულ შეკრებაში მონაწილეობის ბრალდებით დაუსწრებლად წარედგინა ბრალი. დანაშაული 9-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ე.წ. „კანონიერი ქურდი“ მინდია ლავასოღლი საზღვარგარეთიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ქალაქ ბათუმში, იმედა აბაშიძის, შოთა კეკელიძის, ივანე გიგიაძის, მარად წითელაძის, ჯამბულ ნაკაშიძის და ბეჟან დეკანაძის საშუალებით ახორციელებდა ე.წ. ქურდული სამყაროს საქმიანობას.

ე.წ. „კანონიერი ქურდი“ ლავასოღლი, საკუთარი კრიმინალური გავლენის გამოყენებით, საზღვარგარეთიდან, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით, მის მიერ მართული ქურდული სამყაროს წევრის ივანე გიგიაძის მეშვეობით, 2018 წლის 17 ივნისს, ქალაქ ბათუმში დაუკავშირდა მოქალაქე რ.ც.-ს და ამ უკანასკნელის მიერ ქურდულ სამყაროში თანხის ჩარიცხვის საკითხთან დაკავშირებით მოაწყო ე.წ. „ქურდული გარჩევა“.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის, კანონიერი ქურდობის, ქურდულ შეკრებაში მონაწილეობის, გამოძალვისა და ძალადობის კვალიფიკაციით (სსკ-ის 2231, 2232, 181-ე, 126-ე მუხლებით) მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

მინდია გორაძისთვის ქურდული სამყაროს საქმიანობისთვის დაუსწრებლად ბრალის წარდგენის მიზეზი გაურკვეველია ადვოკატისთვის.

გორაძის ადვოკატი აცხადებს, რომ გორაძეს წარსულში წარდგენილი ბრალი ვერ დაუმტკიცდა, რის გამოც ის პატიმრობიდან გათავისუფლდა, თუმცა მისი სასამართლო პროცესები მიმდინარეობს.

ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე ამბობს, რომ ბათუმში გორაძის წინააღმდეგ სასამართლო პროცესების მიმდინარეობის მიუხედავად, ბრალდებულმა ქვეყნის დატოვება შეძლო, უფრო მეტიც, კობაიძის განცხადებით, გორაძეს ქვეყანა შს სამინისტრომ დაატოვებინა.

ადვოკატი ამბობს, რომ მისთვის უცნობია, რა გახდა ახალი საქმის დაწყების მიზეზი. კობაიძის ინფორმაციით, ლავასოღლის საცხოვრებელ სახლში დღეს დილით ჩხრეკაც ჩატარდა.

– ბრალდების მხარემ ვერ მოახერხა, ცხრა თვის ვადაში რომ დაემტკიცებინა ბრალი მინდია გორაძისთვის, ამიტომაც მოხდა ის, რომ პროცესები დღემდე გრძელდება.

თავისი ნება იყო, დასწრებოდა პროცესს, თუმცა, სამწუხაროდ, შს სამინისტრომ მას უთხრა, რომ უნდა დაეტოვებინა საზღვარი.

შს სამინისტრომ დაატოვებინა ქვეყანა, მას სურვილი აქვს, დაესწროს პროცესებს, მაგრამ შსს ამის საშუალებას არ აძლევს, – ამბობს ადვოკატი.

* * *

„ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით 10 პირის დაკავების შესახებ გუშინდელ ბრიფინგზე შს მინისტრის მოადგილე კახა საბანაძემ დაწვრილებით ისაუბრა..

– მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის ფარული მიყურადების შედეგად, 1981 წელს დაბადებულ მინდია ლავასოღლის, კანონიერი ქურდობის და ქურდულ შეკრებაში მონაწილეობის ბრალდებით დაუსწრებლად წარედგინა ბრალი. დანაშაული 9-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ქურდული სამყაროს წევრობის და ქურდულ შეკრებაში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებულები არიან:

1956 წელს დაბადებული ივანე გიგიაძე; 1978 წელს დაბადებული იმედა აბაშიძე; 1979 წელს დაბადებული ჯამბულ ნაკაშიძე; 1983 წელს დაბადებული ბეჟან დეკანაძე; 1983 წელს დაბადებული მარად წითელაძე, 1980 წელს დაბადებული შოთა კეკელიძე და 1989 წელს დაბადებული ზაალ ახვლედიანი.

კერძოდ, დაკავებულები დაშინებით, მუქარით, იძულებით, ე.წ. „ქურდული გარჩევით“, დანაშაულის ჩადენის წაქეზებით და საკუთარი კრიმინალური გავლენის გამოყენებით, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აქტიურად მონაწილეობდნენ ქურდული სამყაროს საქმიანობაში.

1973 წელს დაბადებულ რამაზ კომახიძეს, 1993 წელს დაბადებულ ბადრი ქობულაძეს და 1992 წელს დაბადებულ გიორგი შავლიძეს ბრალი ედებათ ქურდული სამყაროს წევრობაში, ჯგუფურად, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჩადენილ გამოძალვასა და ძალადობაში.

გამოძიებით დადგინდა, რომ რამაზ კობახიძე, ბადრი ქობულაძე და გიორგი შავლიძე მიმდინარე წლის 29 იანვარს, ბათუმში მოქალაქე კ.კ.-ს სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობის გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხის – 20.000 ლარის ე.წ. „ქურდული სამყაროს“ საწევროში გადახდას აიძულებდნენ.

რაც შეეხება ე.წ. „კანონიერი ქურდს“ მინდია ლავასოღლის, ის საზღვარგარეთიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ქალაქ ბათუმში, იმედა აბაშიძის, შოთა კეკელიძის, ივანე გიგიაძის, მარად წითელაძის, ჯამბულ ნაკაშიძის და ბეჟან დეკანაძის საშუალებით ახორციელებდა ე.წ. ქურდული სამყაროს საქმიანობას.

ე.წ. „კანონიერი ქურდი“ ლავასოღლი, საკუთარი კრიმინალური გავლენის გამოყენებით, საზღვარგარეთიდან, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით, მის მიერ მართული ქურდული სამყაროს წევრის ივანე გიგიაძის მეშვეობით, 2018 წლის 17 ივნისს, ქალაქ ბათუმში დაუკავშირდა მოქალაქე რ.ც.-ს და ამ უკანასკნელის მიერ ქურდულ სამყაროში თანხის ჩარიცხვის საკითხთან დაკავშირებით მოაწყო ე.წ. „ქურდული გარჩევა“.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის, კანონიერი ქურდობის, ქურდულ შეკრებაში მონაწილეობის, გამოძალვისა და ძალადობის კვალიფიკაციით (სსკ-ის 2231, 2232, 181-ე, 126-ე მუხლებით) მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას, რომლის მიზანია ქვეყანაში „ქურდული სამყაროს“ და მასთან დაკავშირებული „კრიმინალური მენტალიტეტის“ სამუდამოდ აღმოფხვრა – განაცხადა საბანაძემ.

მისივე თქმით, სამინისტროს ინიციატივით „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „კანონიერი ქურდობისთვის“ სასჯელი გამკაცრდა, ხოლო „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა, ქურდული შეკრების ორგანიზება, ქურდული სამყაროს წევრისთვის და კანონიერი ქურდისთვის მიმართვა სისხლის სამართლის წესით დასჯადი დანაშაული გახდა.

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში კანონიერი ქურდობის და ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით საქართველოში 20-მდე პირია დაკავებული. ასევე, ევროპის ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად, საფრანგეთსა და საბერძნეთში დაკავებულია სხვადასხვა ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი – საქართველოს 119 მოქალაქე და 9 „კანონიერი ქურდი“.

* * *

დაკავებულების ოჯახის წევრები ადასტურებენ, რომ ბრალდებულებს ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ.

– მაგენი არიან ერთი სოფლიდან, ბავშვობიდან ერთად არიან, მეგობრები არიან, მენტალიტეტი და რაღაცა არ არის, დავალებებს არ იღებდნენ. არ არსებობს, უბრალოდ კითხულობენ ერთმანეთს, – ამბობს ერთ-ერთი დაკავებულის ოჯახის წევრი.

რაც შეეხება მინდია გორაძის ოჯახს, დაკავებულის და ამბობს, რომ მინდია გორაძის მიმართ წარდგენილი ბრალდება აბსურდულია. გორაძის ოჯახის წევრი ამბობს, რომ დაკავებულებს „ლავასოღლისთან“ კავშირი არ ჰქონიათ.

– ჩხრეკა ჩაატარეს და მორჩა, არაფერი არ ამოუღიათ. არაფერი ზედმეტი ერთი ფურცელი არ მოგვსვლია, არ არიან მაგენი ამის მეგობრები, კარგად უნდა გადაამწმონ. 9 თვე ჰყავდათ და არაფერი დაუდგენიათ. ჩემი იურისტი მივა და გაეცნობა ყველაფერს, – ამბობს გორაძის ოჯახის წევრი.

სასამართლო პროცესი დღეს გაიმართება.

„დანა და დაჭრა არ დამინახავს, დავიფიცებ, მხედველობის პრობლემა მაქვს“

რას ამბობს მოზარდების მკვლელობის თვითმხილველი მძღოლი

ავტომობილის მძღოლი ნიკოლოზ იორდანაშვილი, რომელიც 2017 წლის 1 დეკემბერს დავით სარალიძის და ლევან დადუნაშვილის მკვლელობის ადგილზე იმყოფებოდა, ამბობს, რომ მას „დანა და დაჭრის ფაქტი“ არ დაუნახავს.

– მე დანა და დაჭრა არ დამინახავს, რაზეც გინდათ დავიფიცებ, – განაცხადა მოწმემ საგამოძიებო კომისიაზე დაკითხვისას.

– მანქანით როდესაც შევედი ეზოში, ბავშვები დავინახე, რას აკეთებდნენ, არ მახსოვს, მაგრამ წყნარად იყვნენ. შემდეგ ეზოში კიდევ სხვა ბავშვები შემოვიდნენ.

მე ეზოში ველოდებოდი, რომ ვიღაც უნდა ჩამოსულიყო ჩემთან. ტელეფონი მეჭირა. ამის შემდეგ ჩოჩქოლი გავიგონე და უცებ ჩხუბი დაიწყო მთელ ტერიტორიაზე. რამდენიმე ადგილზე ჩხუბობდნენ. ორი ბავშვი ჩხუბობდა ჩემი მანქანის მარჯვენა წინა კართან. ჩხუბი ხდებოდა თუ არა ფარდულთან, არ მახსოვს. არ გამიხედავს, თუ ვინმე მეფარებოდა, ვერ ვიხსენებ. ჩვეულებრივი ჩხუბი იყო. ჯოხი არ დამინახავს. მარჯვნივ და მარცხნივ ერთი ერთზე ჩხუბობდნენ. წინ უფრო მეტნი იყვნენ. წინ წაქცეული არავინ მინახავს.

არ მახსოვს მოჩხუბარი ბიჭების აღწერილობა. ამ დროს ფანჯარა ჩემს მხარეს ოდნავ ჩაწეული მქონდა. მხედველობის პრობლემა მაქვს. ასტიგმატიზმი მაქვს. ემოციურად ვიყავი ცოტა. ადამიანი ვარ მაინც და გინდა, რომ რამე გააკეთო. არაფერი არ მინახავს ისეთი, – განაცხადა ნიკოლოზ იორდანაშვილმა.

სადახლოში 26 წლის ბიჭმა თავი მოიკლა

26 წლის ბიჭმა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოში თავი მოიკლა.

ინფორმაციას რადიო „მარნეულთან“ საუბრისას სოფელ სადახლოს მაჟორიტარი დეპუტატი როვშან ისკანდაროვიც ადასტურებს.

მისი თქმით, შემთხვევა 15 ივლისს მოხდა. იმ დღეს 26 წლის ახალგაზრდამ სახლში თქვა, რომ ფულის ასაღებად მიდიოდა. სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

გარდაცვლილის ცხედარი მეორე დღეს, 16 ივლისს, მისი ძმის მშენებარე სახლში იპოვეს.

მარნეულის საკრებულოს წევრმა ასევე თქვა, რომ ახალგაზრდა პოლონეთში მუშაობდა და იქ წასვლას კიდევ აპირებდა.

როგორც შსს-ში აცხადებენ, გარდაცვლილს, პირველადი დათვალიერებით, ძალადობის კვალი არ აღენიშნება და ამ ეტაპისთვის მამაკაცის ცხედარს შესაბამისი ექსპერტიზა უტარდება.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის მიხედვით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

მარია ბუტინა — რუსი ჯაშუში

ტრამპისა და პუტინის შეხვედრა ჯერ არ დამთავრებულიყო, რომ აშშ-ში რუსი ჯაშუში მარია ბუტინა დააკავეს.

მარია ბუტინა 1988 წელს ბარნაულში დაიბადა. იქვე დაამთავრა გიმნაზია, 2010 წელს კი უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა. პედაგოგები მას ახასიათებენ როგორ ნიჭიერ სტუდენტს.

პოლიტიკით ბუტინა ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაინტერესდა. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა „ედინაია როსიას“ ალტაის ფილიალთან. თუმცა ამან ხელი არ შეუშალა ოპოზიციასთან, კერძოდ, ნავალნის ხალხთანაც ჰქონოდა კავშირი. მარია თავის პროპუტინისტურ შეხედულებებს არასოდეს მალავდა. ბუტინამ დაგმო უკრაინული რევოლუცია. ყირიმის ანექსიისა და დონბასში ომის დაწყების შემდეგ კი უკრაინის აღმოსავლეთ-სამხრეთ რაიონების (რუსული ტერმინოლოგიით ნოვოროსია) ანექსიას მოითხოვდა.

– ამ რეგიონს უკრაინასთან საერთო არაფერი აქვს, – წერდა ბუტინა.

მიუხედავად ამისა, ის აშშ-ში ლექტორად მიიწვიეს. ბუტინა რესპუბლიკური პარტიის მომხრე ახალგაზრდობას პოლიტიკაზე ლექციებს უკითხავდა. პარალელურად რამდენიმე ამერიკულ ჟურნალში პოლიტიკურ

თემაზე სტატიებიც გამოაქვეყნა.

ბუტინას ამოცანა ამერიკულ პოლიტიკურ წრეებში შეღწევა და პრორუსული ინტერესების ლობირება გახლდათ.

მარია იმ ორგანიზაციებში შეღწევას ცდილობდა, რომელთა გავლენაც აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებაში უდიდესია. ამავე დროს, ბუტინა იცავდა თითოეული მოქალაქის მიერ იარაღის ტარების უფლებას, ანუ იმ ფასეულობას, რაც ამერიკელი კონსერვატორებისათვის წმინდაა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: ვინ ეხმარებოდა მას? ჯაშუში, მით უმეტეს, სერიოზული ჯაშუში, დახმარების გარეშე ვერაფერს შეძლებს. ბუტინასაც უდავოდ ეყოლებოდა წვრილმანი დამხმარენი. ამავე დროს, ის ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებდა, მის საქმიანობაში აშშ-ის გავლენიანი წრეები და მაღალი რანგის ჩინოვიკებიც რომ არ ყოფილიყვნენ დაინტერესებული.

ვინ დგას ბუტინას უკან? იმედია, გამოძიება ამ კითხვას პასუხს გასცემს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ტრამპი: „მე და პუტინმა ერთმანეთს კარგად გავუგეთ“

– წინ დიდი შედეგები გველის, – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის კომენტირებისას განაცხადა.

– პუტინმა და მე ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი განვიხილეთ. ჩვენ კარგად გავუგეთ ერთმანეთს, რაც ასე აწუხებდა ბევრ შურიანს, ვისაც კრიავში შეჯიბრის ხილვა სურდა. დიდი შედეგები წინ გველის, – დაწერა დონალდ ტრამპმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე.

აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ „გრძელვადიან პერსპექტივაში პუტინთან შეხვედრამ უფრო დიდი წარმატებები და პოზიტივი შეიძლება მოიტანოს“.

– რუსეთი დათანხმდა, დაგვეხმაროს ჩრდილოეთ კორეის საკითხზე. ეს პროცესი წინ მიდის. არ ვჩქარობთ. სანქციები ჩრდილოეთ კორეის მიმართ ძალაში რჩება. ამ პროცესის დასასრულს კი ჩრდილოეთ კორეას დიდი სარგებელი და ნათელი მომავალი ელოდება, – დასძინა მან.

პეტრო პოროშენკო: „გიბრძანებთ, რუსეთის აგრესია აღკვეთოთ!“

აზოვის ზღვაზე მდგომარეობა იძაბება. რუსები უკრაინულ ხომალდებს სისტემატიურად აკავებენ. უკანასკნელი დღეების განმავლობაში დაკავებული ხომალდების რაოდენობამ 138-ს მიაღწია. შედეგად მარიუპოლის მეტალურგიული კომბინატი შესაძლოა გაჩერების საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს, რადგან პროდუქციის გატანა ვეღარ ხერხდება. პარალიზება ემუქრება ბერდიანსკის პორტსაც.

– რუსეთი ამას სპეციალურად აკეთებს, რათა ან სეპარატიზმის ახალი ტალღის პროვოცირება გამოიწვიოს, ან უკრაინაში პრორუსული ძალები გააძლიეროს, – თვლის ექსპერტი ვლადიმერ ფისენკო.

პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ შექმნილი სიტუაციის გამო ძალოვან მინისტრებთან საგანგებო თათბირი გამართა. პოროშენკომ ხაზი გაუსვა, რომ იმ უმსგავსობას, რაც დღეს აზოვის ზღვაზე ხდება, ბოლო უნდა მოეღოს.

– ვუბრძანებ თავდაცვის მინისტრ პოლტორაკს და გენშტაბის ხელმძღვანელ მუჟენკოს, რომ რუსული აგრესია აღკვეთონ, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

ტულას მახლობლად ექსტრემისტები დააკავეს

უძველესი რუსული ქალაქის ტულას მახლობლად ექსტრემისტების 20-კაციანი ჯგუფი დააკავეს. ყველა მათგანი იატაკქვეშა ორგანიზაცია „პარტიზანსკაია პრავდა“-ს წევრი აღმოჩნდა. ხსენებული დაჯგუფება მიიჩნევს, რომ რუსეთს ებრაულ-ამერიკული კაპიტალი მართავს და ვლადიმერ პუტინი ამ ძალების წარმომადგენელია.

„პარტიზანსკაია პრავდა“ სსრკ-ს დაშლას უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფად მიიჩნევს. ეს ერთადერთი მუხლია, სადაც ამ ორგანიზაციის და პუტინის შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა. „პარტიზანსკაია პრავდა“ სსრკ-ს აღდგენას აუცილებლობად მიიჩნევს. მისი აზრით, უკრაინა რამდენიმე ნაწილად უნდა დაიშალოს. იგივე უნდა მოხდეს საქართველოში, მოლდოვაში, აზერბაიჯანსა თუ სხვა რესპუბლიკებში.

მიზნების მიღწევას „პარტიზანსკაია პრავდა“ ტერორისტული მეთოდებით ცდილობს, ამიტომაც მის წევრებს აღმოაჩნდათ იარაღი, ასაფეთქებელი მასალა, ხელყუმბარები და ა.შ.

დაკავებული ექსტრემისტების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

საზოგადოება

„საქნახშირმა“ მინდელის შახტში მუშაობა მხოლოდ ორი კვირით შეაჩერა

ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტთან მეშახტეების საპროტესტო აქცია მიმდინარეობს. აქციის მონაწილეების თქმით, „საქნახშირის“ ხელმძღვანელობამ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები მხოლოდ ორი კვირით უნდა შეჩერდეს, ხოლო სარემონტო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდეს.

– დირექციამ წარმოგვიდგინა დოკუმენტი, რომ დღეიდან მუშაობა ჩვეულებრივად გაგვეგრძელებინა. იმის თავმოყვარეობაც არ აქვთ, რომ ჯერ ბიჭები არ დაუსაფლავებიათ, იქ სისხლია და ვერ ვამუშავებთო. პატარა ბავშვიც მიხვდება, უნდათ, უცხოელი ექსპერტები რომ ჩამოვლენ, იქ ყველაფერი გამზადებული დაახვედრონ. კვალის დაფარვა უნდათ, – განაცხადა მეშახტემ.

მეშახტეების თქმით, კომპანია „საქნახშირის“ გენერალური დირექტორის, ჯამბულატ ჯაყელის ბრძანება ეწინააღმდეგება პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის განკარგულებას, რომლის მიხედვითაც, საგამოძიებო მოქმედებების დასრულებამდე ტყიბულში არსებული 25-ვე შახტა უნდა დაიხუროს. პრემიერის თქმით, იმ პერიოდში, როდესაც შახტები დახურული იქნება, იქ დასაქმებული ადამიანები სახელფასო ანაზღაურებას ჩვეულებრივად მიიღებენ.

– თუ პირდაპირ გავიგებთ იმას, რაც ბრძანებაში წერია, გამოდის, რომ პრემიერ-მინისტრის სიტყვები უგულებელყოფილია და შახტებში მუშაობა უნდა გაგრძელდეს. პრემიერმა გარკვევით აღნიშნა, რომ შახტები უნდა დაიხუროს და შეწყდეს ის სამუშაოები, რაც მიმდინარეობს შახტში. შეიძლება იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდეთ, რა მდგომარეობაშიც შახტების დახურვამდე ვიყავით, – განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ტელეკომპანია „იმედთან“ ინტერვიუში.

მეშახტეები „საქნახშირის“ მენეჯმენტის შეცვლა მოითხოვენ. მათი ინფორმაციით, დაღუპული მეშახტეების დაკრძალვის შემდეგ კომპანია საკადრო ცვლილებების განხორციელებასაც გეგმავს.

16 ივლისს, ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტის ერთ-ერთ გვირაბში მომხდარი აფეთქების შედეგად შახტის მიწისქვეშა სამთო ოსტატებმა ლაშა ფორჩხიძემ, იოსებ ქარქაშაძემ, მიხეილ გამეზარდაშვილმა და მურმან ლილუაშვილმა სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღეს და ადგილზე გარდაიცვალნენ. შემთხვევის შედეგად 6 ადამიანი დაშავდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს. გამოძიების წინასწარი ინფორმაციით, ერთ-ერთ გვირაბში სავარაუდოდ მეთანი აფეთქდა, რასაც კედლების დეფორმაცია და ჭერის ჩამონგრევა მოჰყვა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ
სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.
ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.
მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.
მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.
მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225. ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

20 წლამდე ნაკრები ბ დივიზიონში ჩარჩა

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ფინეთთან საკვანძო მატჩი წააგო და ჯგუფიდან გასვლის შანსი დაკარგა. მართალია, ქართველებს ბოლო ტურის მატჩი პორტუგალიასთან დარჩა გასამართი, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილი გუნდი ჯგუფიდან პლეი ოფში გამსვლელ საუკეთესო 2 გუნდს შორის ვეღარ მოხვდება.

ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონიდან ელიტაში გადასვლის შანსი საქართველოს ნაკრებმა ფინეთთან მარცხით დაკარგა. არადა, პირველ ნახევარში ქართველები მეტოქეს ტოლს არ უდებდნენ და ძირითადად ლიდერობდნენ კიდეც. მესამე პერიოდში სკანდინავიელებმა დამაჯერებელი უპირატესობა მოიპოვეს, ხელჩასაჭიდ ლიდერობას მიაღწიეს და მატჩის ბოლომდე ისე მივიდნენ, ზედმეტი გართულება არ შეხვედრიათ.

ფინეთმა საქართველოს ნაკრები 71:56 დაამარცხა და პოლონეთთან ერთად ჯგუფიდან გავიდა.

ჯგუფის ბოლო მატჩს საქართველოს ნაკრები პორტუგალიასთან გამართავს, რის შემდეგაც საკვალიფიკაციო ეტაპზე, 9-16 ადგილების დასაკავებელ ბრძოლაში გადაერთვება.

ბათუმისა და თელავის მეტოქეები გაირკვა

2018-19 წლების სახელბურთო ევროტურნირებზე საქართველოდან 2 გუნდი ითამაშებს. წილისყრა გაიმართა ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის ოფისში.

ევროპის ფედერაციის თასის პირველ წრეში საქართველო ჩემპიონი, ბათუმის შავი ზღვის ბიჭები კოსოვოს ბესა ფამგასს შეხვდება, ხოლო ჩელენჯ კაპზე თელავის იმედის მეტოქე იქნება ლუქსემბურგის დუდელანჟი.

ბათუმის და კოსოვოს ჩემპიონის სათამაშო თარიღებია 1-2 და 8-9 სექტემბერი, ხოლო თელავის იმედი დუდელანჟთან 6-7 და 13-14 ოქტომბერს ითამაშებს. უკვე ცნობილია მეტოქეები მომდევნო რაუნდებშიც. ბათუმ-ბესა ფამგასის წყვილის გამარჯვებული 13-14 და 20-21 ოქტომბერს ეთამაშება ნორვეგიის დრამენს, ხოლო თელავ/დუდელანჟს შორის უძლიერესი – სანკტ-პეტერბურგის ნევას (რუსეთი), 17-18 და 24-25 ნოემბერს.

წყალბურთელთა ნაკრებმა ფლეი ოფში გასვლის შანსი დაკარგა



ესპანეთში მიმდინარე წყალბურთელთა ევროპირველობაზე საქართველოს ნაკრებმა ჯგუფურ ეტაპზე მე-2 მატჩი ჩაატარა და გერმანიასთან დაძაბულ ბრძოლაში 9:10 (3:1, 2:3, 2:3, 2:3) დამარცხდა. ამ მარცხით ჩვენს ნაკრებს ფლეი ოფში გასვლის შანსი აღარ აქვს.

არადა, ამ მიღწევასთან ჩვენები ახლოს იყვნენ. რევაზ ჩომახიძის შეგირდები დასაწყისშივე დაწინაურდნენ და 2 მეოთხედი მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ. რამდენჯერმე იყო მომენტი, როდესაც ჩვენები 2 ბურთითაც იგებდნენ. გერმანიის ნაკრები პირველად მესამე მეოთხედის ბოლო წუთზე დაწინაურდა 7:6, მაგრამ ქართველებმა დარჩენილ დროში ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს.

მეოთხე მეოთხედში ჩვენები ისევ დაწინაურდნენ – 8:7, თუმცა ამის შემდეგ წინ გერმანია გავიდა და მხოლოდ გათანაბრებას ვახერხებდით. 2 წუთით ადრე გერმანია 10:9-ს იგებდა, დარჩენილ დროში მეტოქემ ბურთი ვერ გაიტანა, ჩვენ შანსიც გვქონდა – მატჩის დასრულებამდე 30 წამით ადრე რიცხობრივ უპირატესობაში დავრჩით, მაგრამ მეტობა ვერ გამოვიყენეთ. არადა, ფრედ დასრულების შემთხვევაში, დიდი შანსი იყო, ფლეიო ოფში გავსულიყავით.

ქართველ წყალბურთელებს ჯგუფში დასკვნითი შეხვედრა იტალიასთან ელით, რომელიც ძალიან ძლიერი გუნდია და მათთან წარმატებაზე ფიქრი უტოპიად ჩანს. სავარაუდოდ, ჩვენი ნაკრები ჯგუფური ეტაპის შემდეგ მე-12-16 ადგილებისთვის გააგრძელებს ბრძოლას.

18 წლამდე ნაკრები ევროპირველობისთვის ემზადება

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები თურქეთში გაემგზავრა, სადაც 24 ივლისამდე 4 საკონტროლო მატჩს გამართავს და მაკედონიაში, ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბუბა ბერიშვილმა უკვე შეარჩია ის 12 კალათბურთელი, რომლებიც საქართველოს ნაკრებს ევროპის ბ დივიზიონში წარადგენენ. 2 მათგანი – რატი ანდრონიკაშვილი და ალექსი მერკვილაძე ნაკრებს თურქეთში შეუერთდებიან.

ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფში ჩვენი მეტოქეები იქნებიან ბელგიის, უნგრეთის, ავსტრიის, ესტონეთის და აზერბაიჯანის ნაკრებები.

ბუბა ბერიშვილი:

– იმ მცირე დროში, რაც გვქონდა, მაქსიმალურად შევეცადეთ, ოპტიმალური შემადგენლობისთვის მოგვეყარა თავი და ეს რამდენად კარგად მოვახერხეთ, მომავალ ამხანაგურ თამაშებში გამოჩნდება. ჯერ ოფიციალურ მატჩებამდე საკმაო დრო გვაქვს. ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ბავშვების გამოცდები. რა თქმა უნდა, გამოცდებს ვერ აუვლიდით გვერდს და იმ 10 დღეში, რომელიც შეკრებისთვის მოგვეცა, მაქსიმალურად შევეცადეთ ყველაფერი ჩაგვესვა და მოვემზადებულიყავით.

– 27 ივლისამდე საკმაოდ დატვირთული გრაფიკი გაქვთ.

– დიახ, თურქეთში 4 საკონტროლო მატჩს გავმართავთ. მეტოქეები ჯერ ცნობილი არაა. ესენი იქნებიან ძირითადად ცნობილი საკალათბურთო კლუბების 18-წლამდელთა გუნდები. სულ სტამბოლში 6 გუნდი მოიყრის თავს, თუმცა ჩვენ 4 შეხვედრას ვითამაშებთ და 24 ივლისს გავემგზავრებით მაკედონიაში.

– ევროპის ჩემპიონატი ხომ 27-ში იწყება?!

– დიახ და ეს ძალიან კარგია,

რომ 3 დღით ადრე ჩავდივართ ტურნირის მასპინძელ ქვეყანაში. მაკედონიაში ადაპტაციას გავივლით, 3 დღის მანძილზე საკმაოდ ნაყოფიერად ვივარჯიშებთ და მოვემზადებით მატჩებისთვის.

– თურქეთში 10 მოთამაშით მიდიხართ.

– ეს იმიტომ, რომ გუნდის 2 წევრი საქართველოში არ იმყოფება. ალექსი მერკვილაძე თურქეთში დაგვხვდება. ის 16-წლამდელთა ნაკრებს ახლდა სტამბოლში, სადაც საერთაშორისო ტურნირში ითამაშა და გუნდს უკან აღარ გამოჰყვა, რადგან მეორე დღეს ისევ სტამბოლში მოუწევდა დაბრუნება. რაც შეეხება რატი ანდრონიკაშვილს, მოგეხსენებათ, ის 20-წლამდელთა ნაკრებს ახლავს ბულგარეთში, ევროპის ჩემპიონატზე და მისი დასრულების შემდეგ, 23 ივლისს სტამბოლში შემოგვიერთდება.

– ძირითადი შემადგენლობის შერჩევისას რამდენად დიდი იყო კონკურენცია?

– საკმაოდ დიდი კონკურენცია იყო და ეს ძალიან კარგია. გამოვცადეთ 20-ზე მეტი კანდიდატი, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ ნაკრებში მოსახვედრად. მათ, ვისაც ამ ეტაპზე დავშორდით, იმ დეტალებზე გავუმახვილეთ ყურადღება, რისი გამოსწორებაც მართებთ, რათა შემდეგ ჯერზე მოხვდნენ ნაკრებში.

– რას იტყვით იმ 2 მოთამაშეზე, რომლებიც თურქეთში უნდა შემოგიერთდნენ?

– პირადად ორივეს ძალიან კარგად ვიცნობ და ვიცი მათი რეალური შესაძლებლობები. მერკვილაძეც და ანდრონიკაშვილიც გასულ წელს 16-წლამდელთა ნაკრებში თამაშობდნენ, რომელსაც მე ვწვრთნიდი. მერკვილაძეს წელსაც უწევს 16-წლამდელთა ნაკრები და ის ამ გუნდისთვის მაქსიმუმს გააკეთებს, თუმცა მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, რომ მერკვილაძე 18-წლამდელთა ნაკრებსაც დახმარებოდა. ის რამდენჯერმე იყო უფროსი ასაკის ნაკრების ვარჯიშებზე და სრულიად დააკმაყოფილა გუნდისთვის აუცილებელი მოთხოვნები. რაც შეეხება რატის, მოგეხსენებათ, მან წელს ეროვნულ ნაკრებშიც ითამაშა და ცხადია, ჩვენს ნაკრებსაც დიდად დაეხმარება. იმ პოტენციალის გათვალისწინებით, რაც ანდრონიკაშვილს გააჩნია, დიდი კალათბურთი უნდა ითამაშოს და ამის მისაღწევად შრომა და სისტემატიური ვარჯიშია საჭირო.

– რას იტყვით ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი 18-წლამდელთა ნაკრების შანსებზე?

– შანსებზე ლაპარაკი ახლა ნაადრევია. ვიცით, რომ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, სადაც ნებისმიერი მეტოქე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. სანამ ტურნირი არ დაიწყება, ჩვენთვის ნებისმიერი მეტოქე ფავორიტია, რადგან ყველასთან ბოლომდე ბრძოლა და მაქსიმალური მობილიზება გვმართებს.

ზაურ მახარაძე: „საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ არანაირი პრობლემა არ მექნება“

საქართველოს ნაკრების მეკარემ, ზაურ მახარაძემ დონეცკის ოლიმპიკი დატოვა და კარიერას ლუგანსკის ზორიაში გააგრძელებს.

შეგახსენებთ, მახარაძე ჩვენი ნაკრების ამხანაგურ მატჩებში იყო გამოძახებული, მაგრამ მისი თამაში არ მოხერხდა. საქმე ის არის, რომ საბუთების გაკეთება დროულად ვერ მოხერხდა. სწორედ ამ თემაზე და ახალ კლუბში გადასვლაზე მახარაძემ უკრაინულ მედიასთან ისაუბრა.

– როგორ მოხვდით ზორიაში?

– ყველაფერი წყნარად მოგვარდა. დამირეკა ჩემმა აგენტმა და მითხრა, რომ ზორიას ჩემი გადაბირება სურს. მოვითათბირე ახლობლებთან და გადავწყვიტე გადავსულიყავი, რადგან ზორია უკრაინის ჩემპიონატის ლიდერებშია, ევროტურნირებზე მონაწილეობს და სურს მაქსიმალურად კარგი შედეგები აჩვენოს.

– ოლიმპიკთან კონტრაქტი დაგიმთავრდათ?

– ზაფხულში დამიმთავრდა. თუმცა, ჯერ კიდევ ზამთარში მქონდა საუბარი კლუბის პრეზიდენტ ვლადისლავ გელზინთან და შევთანხმდით, რომ თუ სხვა კლუბებიდან წინადადებები არ მექნებოდა, შემეძლო ოლიმპიკში დავრჩენილიყავი. ზორიას წინადადების შემდეგ უმტკივნეულოდ დავშორდი კლუბს. ასე რომ, ყველაფერი ნორმალურად არის.

– რით დაგამახსოვრდათ ოლიმპიკში გატარებული პერიოდი?

– დასამახსოვრებელი ბევრი იყო. განსაკუთრებით პირველი სეზონი და ჩვენი მეოთხე ადგილი. განსაკუთრებით კი, ჩვენი დებიუტი ევროპა ლიგაზე. მოწყენილი არ ვყოფილვარ.

– ზორიაში ვინმე ნაცნობი დაგხვდათ?

– ბევრს ვიცნობდი, რადგან ერთ ჩემპიონატში გვიწევდა თამაში. თუმცა, ეს ახალი გამოწვევაა და ბევრი რამ იქნება საინტერესო.

– ახალ გუნდთან ადაპტაცია უკვე გაიარეთ?

– თითქმის. შეკრებაზე გავეცანი ახალი გუნდის მოთხოვნებს. ცოტა დრო კიდევ მინდა, მაგრამ მოუთმენლად ველოდები ჩემპიონატის დაწყებას.

– გუნდი არის მზად ჩემპიონატისთვის?

– ამ კითხვაზე პასუხს პრემიერლიგის სტარტი გაგვცემს. ერთია, შეკრება ნაყოფიერად და ხარისხიანად გავიარეთ.

– მწვრთნელი პირველივე მატჩებიდანვე აპირებს თქვენი კარში ჩაყენებას?

– მუშაობა გვაჩვენებს. მწვრთნელი მესაუბრა და მითხრა, რომ იცის ჩემი შესაძლებლობები, მისურვა წარმატებები. მეკარეების მწვრთნელთანაც კარგად ვიმუშავეთ. გვაქვს ერთი იდეა, ერთი მიზანი, რომლისკენაც ერთად მივიწევთ.

– თქვენ უკრაინაში დაიბადეთ. რთული იყო მიგელოთ გადაწყვეტილება საქართველოს ნაკრებში თამაშზე?

– ამის შესახებ ადრეც ვფიქრობდი, მაგრამ როგორც კი კონკრეტული შემოთავაზება გაჩნდა, ბევრი არ მიფიქრია. მე ხომ უკრაინის ნაკრებში არ მითამაშია. ოჯახი და ახლობლებიც მხარს უჭერდნენ ჩემს გადაწყვეტილებას.

– საქართველოს ნაკრებთან ერთად შეკრებაზე იყავით, მაგრამ არ გითამაშიათ. რა მოხდა?

– მოედანზე გასვლის უფლება ფიფას გარეშე არ მქონდა და მათგან ცნობა არ მოსულა, რის გამოც დებიუტი გადამედო. ალბათ, ფიფამ ეს საკითხი იმიტომ გადადო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება მიდიოდა. როგორც მითხრეს, არანაირი პრობლემა არ იქნება.

შედეგები

17 ივლისი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ვალეტა-კუკესი	1:1
კუკესის გოლი ირაკლი ძარიამ გაიტანა	
ჰიკი-ვიკინგური	3:1
აპოელი-სუდუვა	1:0
მალმიო-დრიტა	2:0
ბეერ შევა-ფლორა	3:1
ტნს-შკენდია	4:0
ვიდეოტონი-დუდელანჟი	2:1
ცრვენა ზვეზდა-იურმალა	2:0
ლეგია-კორკი	3:0
კრუზეიდერსი-ლუდოგორეცი	0:2

უეფას ევროპის ლიგა

ლევსკი-ვადუცი	3:2
შკუპი-რეინჯერსი	0:0
ჰონვედი-რაბოტნიჩკი	4:0

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

ლევან კობიაშვილი: „ვიმუშაოთ გუნდურად“

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგით 28-ე ყრილობა გაიმართა. ყრილობის მთავარი თემა ფეხბურთის ფედერაციის ახალი ხედვის მომავლის 11-ის პრეზენტაცია იყო. სფფ-ის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას ახალი კონცეფცია წარუდგინა, რომლის მთავარი მიზანი სტრატეგიული ნაბიჯებით ფეხბურთის განვითარება და 2026 წლისთვის მომავლის ნაკრების შექმნაა.

აღნიშნულის მისაღწევად ფეხბურთის ფედერაციამ ფეხბურთის განვითარებისთვის საუკეთესო თერმეტეული წარმოადგინა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული.

რატომ მოთამაშეებით? მონიტორზე გამოისახა 11 ღირებულების მქონე საფეხბურთო ნაკრები, სისტემით 4-3-3.

მოთამაშეები არიან: მოხალისეები, მსაჯები, სახელმწიფო მასობრივი ფეხბურთი, მწვრთნელები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ეროვნული ლიგა, მედია, ბიზნესსექტორი, გულშემატკივრები და ბავშვთა ფეხბურთი.

ლევან კობიაშვილი:

– ფეხბურთის ფედერაციის ხედვა იმ მთავარ პრინციპს ეფუძნება, რაც, წარმატების განმსაზღვრელია – ეს არის გუნდურობა. ახლახან დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც ნათლად გამოჩნდა, რომ დიდ შედეგს აღწევენ ის ნაკრებები, რომლებიც უკეთესად თამაშობენ გუნდურად და არ არიან დამოკიდებულნი ერთ-ორ ფეხბურთელზე. სწორედ ესაა ჩვენი გეგმა. მარტო ფედერაცია ვერაფერს გააკეთებს თქვენ გარეშე. ყველანი ჩართულები უნდა ვიყოთ და ამაშია ჩვენი გრძელვადიანი პერსპექტივა – ერთობლივი მუშაობა, მაქსიმალური ჩართულობა ერთიანი ძლიერი საუკეთესო თერთმეტეული მომავლის 11-სათვის. სწორედ ესაა ჩვენი გეგმა, ეს არის თითოეული ადამიანი, ვისაც შეუძლია წვლილი შეიტანოს ქართული ფეხბურთის განვითარებაში. ეს ხართ თქვენ! ამ გუნდში უნდა იპოვოთ თითოეულმა თქვენგანმა საკუთარი თავი, თუკი ქართული ფეხბურთის განვითარება გვინდა.

მომავლის 11-ის პრეზენტაციის გარდა, რიგით 28-ე ყრილობაზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი წლის შემაჯამებელი მოხსენებით წარდგა, რომლის საშუალებითაც ლევან კობიაშვილმა საზოგადოებას განხორციელებულ პროექტებსა და მიღწეულ შედეგებზე მიაწოდა ინფორმაცია. ქართული ფეხბურთის მმართველი ორგანოს პრეზიდენტმა თავის სიტყვაში მასობრივი ფეხბურთისა და ბავშვთა ფეხბურთის, ინფრასტრუქტურის, საფეხბურთო განათლების, სფფ-ის სოციალური პასუხისმგებლობისა და სხვადასხვა მიმართულებებით განხორციელებული პროექტების შესახებ ისაუბრა.

28-ე ყრილობაზე საქართველოს გამორჩეული ფეხბურთელები საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად დაჯილდოვდნენ. 1978 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონობიდან 40 წლის იუბილესთან დაკავშირებით თბილისის დინამოს ვეტერან ფეხბურთელებს სიმბოლურად, საჩუქრად 40.000 ლარი გადაეცათ. 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების 30 წლისთავთან დაკავშირებით, ფეხბურთში ერთადერთმა ქართველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გელა კეტაშვილმა სპეციალური პრიზი მიიღო.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად ყრილობაზე სფფ-ის წესდებაში შესატანი ცვლილებები და 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა. ასევე დაინიშნა დამოუკიდებელი აუდიტი.

სასტუმრო ჰუალინგში გამართულ ფეხბურთის ფედერაციის ყრილობას საფეხბურთო სფეროს, ბიზნესსექტორის, სპორტის სამყაროსა და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. ყრილობაზე სპეციალური სტუმრის სტატუსით მსოფლიო ფეხბურთისა და ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ტიბო კურტუა რეალში გადავა

ესპანური მედიის ინფორმაციით, ჩელსი და მადრიდის რეალი ტიბო კურტუას ტრანსფერზე შეთანხმდნენ. როგორც ირკვევა, „სამეფო კლუბის“ წარმომადგენლებმა რომან აბრამოვიჩის დარწმუნება შეძლეს.

ბრიტანული მედიის მტკიცებით კი, ბელგიის ნაკრების მეკარე ესპანურმა გრანდმა 35 მილიონის სანაცვლოდ იყიდა. დავძენთ, რომ კურტუას ტრანსფერი უახლოეს დღეებში ოფიციალურად დადასტურდება.

შეგახსენებთ, გენკიდან კურტუა ჩელსიში 2011 წელს გადავიდა, სადაც 126 შეხვედრა ჩაატარა. ასე ცოტა იმიტომ, რომ 2011-14 წლებში ბელგიელი ატლეტიკოში იყო განათხოვრებული. ტიბო 2011 წლიდან ბელგიის ნაკრების წევრია და წელს მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ აღიარეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საინტერესო ციფრები მუნდიალიდან

მსოფლიოს ჩემპიონატის აჩრდილი ჯერ ისევ დადის, ამიტომ გვინდა, რამდენიმე დეტალზე გავამახვილოთ ყურადღება, სადაც ძირითადი აქცენტი მხოლოდ ციფრებზე იქნება.

საფრანგეთი მეორედ გახდა ჩემპიონი და ამ მაჩვენებლით დაეწია ურუგვაისა და არგენტინას, ხოლო მათ წინ ბრაზილიის (5 ჩემპიონობა), გერმანიისა და იტალიის (4-4 ჩემპიონობა) გუნდები არიან.

მეორე ჩემპიონობას საფრანგეთი 20 წელი ელოდა. ზუსტად ამდენი დრო დასჭირდა ურუგვაის ნაკრებს მეორე ჩემპიონობამდე – 1930-50 და გერმანიას – 1954-74.

დიდიე დეშამი მესამეა, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო როგორც ფეხბურთელმა და როგორც მწვრთნელმა. იგივე მიღწევა აქვთ ბრაზილიელ მარიო ზაგალოსა და გერმანელ ფრანც ბეკენბაუერს.

საფრანგეთის ნაკრებმა 4 საფლეიოფო შეხვედრაში გაიტანა 11 გოლი (აქედან 2 მატჩში 4-4). ეს იმიტომ აღვნიშნეთ, რომ ჯგუფურ ეტაპზე 3 მატჩში მხოლოდ 3 გოლი გაიტანა.

ბოლო ნაკრები, ვინც 4 გოლი ფინალში გაიტანა, ბრაზილია იყო – 1970 წელს სამხრეთ ამერიკელებმა გადამწყვეტ შეხვედრაში იტალიას 4:1 მოუგეს.

4:2 გახდა ყველაზე პოპულარული ანგარიში ფინალებში. ასე დამთავრდა 1930 წელს, როდესაც ურუგვაიმ არგენტინას მოუგო, 1938 წელს იტალიამ ამავე ანგარიშით უნგრეთი დაამარცხა, ხოლო 1966 წელს ინგლისმა მოუგო გერმანიას. თუმცა ბრიტანელებმა ამ ანგარიშით დამატებით დროში იმარჯვეს.

2002 წლის შემდეგ საფრანგეთი გახდა პირველი ჩემპიონი, რომელსაც დამატებითი არ უთამაშია.

1978 წლის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების სასტარტო შემადგენლობა ყველაზე ახალგაზრდული იყო – 26 წელი და 3 თვე. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მათი დრო დადგა...

შპს „ველკოს“ ს.კ. 415081413
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მიმდინარეობს შპს „ველკოს“ ს.კ. 415081413 რეორგანიზაცია, კონკრეტულად გამოყოფის პროცესი. საზოგადოებიდან გადის მისი პარტნიორი კონსტანტინე მოდებაძე, პირ.№ 42001003303. საზოგადოების კრედიტორებს ვთხოვთ, დასაბუთებული მოთხოვნებით გამოცხადდეთ საზოგადოების ოფისში.

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 431. ტელ: 214-77-88.

ასტროპროგნოზი

19 ივლისისთვის

ვერძი – პროფესიულ სფეროში აქტიურობა სავალდებულოა. თქვენს შრომისუნარიანობაზე დაბალი სასიცოცხლო პოტენციალი უარყოფითად აისახება. **კურო** – ემოციებსა და ცდუნებას ნუ აჰყვებით. ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევებს. **ტყუპები** – კომერციული საქმიანობა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. მოულოდნელი ინფორმაცია გარშემომყოფებთან ურთიერთობას გაართულებს. **კირჩხიბი** – შემთხვევითი ნაცნობობა უკვალოდ არ ჩაივლის. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა და პოპულარობა. **ლომი** – კრიტიკაზე მტკივნეულად რეაგირებთ. იყავით კეთილგონიერი და შექმნილი სიტუაციიდან სათანადო დასკვნები გააკეთეთ. **ქალწული** – რთული დღეა. გამორიცხული არ არის კონფლიქტი როგორც საქმიან პარტნიორებთან, ისე – ოჯახის წევრებთან. ნებისმიერ შემთხვევაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **სასწორი** – უმჯობესია, თუ თავს არ დაიტვირთავთ და დაისვენებთ. დღის მეორე ნახევარში გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. **ღრიანკალი** – გარშემომყოფები იმედს გაგიცრუებენ. ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებს. მაქსიმალური სიმშვიდე და თავშეკავება გმართებთ. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. ინტუიცია გიმახვილდებათ. პირად ცხოვრებაში საკმაოდ საინტერესო ცვლილებები ხდება. **მერწყული** – აქტიურად დაისვენეთ სუფთა ჰაერზე. გელით დასამახსოვრებელი შეხვედრა. **თევზები** – მოთმინება და კეთილგონიერება დღის დევიზია. ახლობლებთან ურთიერთობა მშვიდი და საიმედოა.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის განმსაზღვრელი ხელსაწყო; 2. სატანვარჯიშო სკოლა ძველ საბერძნეთში; 3. ერთკუზიანი აქლემი; 4. ტრამვაის მძღოლი; 5. სპორტის სათამაშო სახეობა; 10. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 11. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 12. ალუმინის შემცველი მადანი; 13. ინგლისური ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი სამხედრო თვითმფრინავი; 16. ლატვიის ძველი სახელწოდება; 17. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 19. ნადირთა, ცხოველთა მფარველი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 23. სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში.

თარაზულად: 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 7. ორლოპოტიანი ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 8. ეთიოპიის იმპერატორთა ტიტული; 9. ტყავის დასამუშავებელი საამქრო ძველად; 14. ქართველი ასტროლოგი; 15. ორკუზიანი აქლემი; 18. ბაღჩეული ხილი; 20. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. ქართული სიგარეტი; 24. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 25. უმაღლესი წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 26. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. წუღა; 2. ბანჯო; 3. ალუჩა; 4. სქური; 5. ოდეონი; 6. ზაკოპანე; 8. ტაიკონავტი; 10. გინეკოლოგი; 11. მარგალიტი; 14. შაგალი; 15. გერანი; 16. სამბა.

თარაზულად: 1. წურბელა; 4. სქოლიოზი; 7. ღვინო; 9. განგი; 12. მინდია; 13. ჰიჯრა; 14. შანიძე; 17. ბახალა; 18. პროკლამაცია; 19. ხითხითი; 20. ღალატი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ერებუსი; 2. ჰოპკინზი; 3. სტრუქტურა; 4. მორავია; 5. კატაკლიზმა; 10. უშქარი; 11. სტადიონი; 12. ვისკოზა; 13. ფლორიდა; 16. ჯამბაზები; 17. ლილახანა; 19. ანტიგონე; 21. თრუსო; 23. შაორი.

თარაზულად: 6. ტრიფოლიატი; 7. ფოფოდია; 8. მურსია; 9. აქილევსი; 14. კლაკიორი; 15. კოსმეტიკა; 18. შონია; 20. დიორამა; 22. კაშხალი; 24. ტრიერი; 25. რეფლექსი; 26. გურონი.

ახალი ტესტით, კანის კიბოს ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა გახდება შესაძლებელი



ავსტრალიელი მეცნიერების თქმით, მათ შექმნეს ტესტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება მელანომის ადრეულ სტადიაში აღმოჩენა. ამის შესახებ BBC ედიტ ქოუანის უნივერსიტეტის კვლევაზე დაყრდნობით წერს.

მკვლევართა თანახმად, ტესტის დახმარებით შესაძლებელი გახდება კანის კიბოს იქამდე აღმოფხვრა, ვიდრე ის სიცოცხლისთვის რეალური საფრთხის შემცველი იქნება.

ამჟამად, ექიმები მელანომას გამოსავლენად ბიოფსიასა და კანის სხვადასხვა გამოკვლევას იყენებენ, თუმცა პრობლემა არის მელანომას გავრცელების სისწრაფე. როგორც მკვლევრები განმარტავენ, სისხლის ტესტით კანის კიბოს აღმოჩენა უფრო სწრაფი იქნება, ხოლო დიაგნოზი – უფრო ზუსტი.

ედიტ ქოუანის უნივერსიტეტების მკვლევრების მიერ შექმნილი ტესტი სისხლში ავტოანტისხეულების ამოცნობაზეა „ორიენტირებული“. ავტოანტისხეულები სწორედ ის ანტისხეულებია, რომლებსაც ორგანიზმი ადრეული სტადიის კიბოს ზრდის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოჰყოფს.

ცდაში, რომელიც 200 ადამიანზე ჩატარდა (მონაწილეებს შორის კიბოს დიაგნოზის მქონე პირებიც იყვნენ), ტესტის 81.5%-ის შემთხვევაში წარმატებული აღმოჩნდა.

ტესტის შემქმნელები იმედოვნებენ, რომ სამომავლო ცდებისა თუ ექსპერიმენტების ხარჯზე მისი სიზუსტე 90%-მდე გაიზრდება და სამედიცინო დაწესებულებებში უახლოეს 5 წელიწადში დაინერგება.

როგორც პროფესორი მელ ციმანი BBC-თან საუბრისას განმარტავს, ხშირ შემთხვევაში, სირთულეს წარმოადგენს მელანომის ადრინდელი სტადიის ჩვეულებრივი ხალისგან გარჩევა. კვლევის შედეგად, მკვლევრებმა 1 627 ფუნქციური ცილა გამოიკვლიეს და 10 ისეთი ავტოანტისხეული გამოავლინეს, რომლების საუკეთესოდ ააშკარავებენ ორგანიზმში მელანომის არსებობას.

– თუ ჩვენ აღმოვფხვრით მელანომას, რომლის სისქეც 1 მილიმეტრს არ აღემატება, პაციენტის გადარჩენის 98-99%-იანი შანსი არსებობს, – განმარტავს პროფესორი ციმანი.

ონკოლოგ თეიმურაზ გოგიტიძის თქმით, კანის კიბოს ისეთი სახეობა, როგორიცაა მელანომა (შავი სიმსივნე), სიმსივნეთაგან ყველაზე აგრესიული და საშიშია. მისი მთავარი მზაკვრობა იმაში მდგომარეობს, რომ მცირე ზომის, თითქმის უხილავ წარმონაქმნსაც კი შეუძლია სასიკვდილო მეტასტაზების განვრცობა.

მეორე მხრივ, ადრეულად აღმოჩენისა და დროულად მკურნალობის შემთხვევაში, ის იკურნება. სანამ ავსტრალიელი მკვლევრების მიერ შექმნილი ტესტი მასობრივ წარმოებაში დაინერგება, ექიმის რჩევით, დროულად აღმოჩენისთვის თვითგამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ექიმი განმარტავს, კანზე საეჭვო წარმონაქმნი ჩნდება სხეულის არა მხოლოდ ღია, მზისგან დაუცველ, არამედ ტანსაცმლით დაფარულ ადგილებზეც. ასე რომ, ის ურჩევს პაციენტებს, კანი მთლიანად, სხეულის წინა და უკანა მხარეს დაათვალიერონ.

– უმჯობესია, სარკეში თქვენს სხეულს მთელ სიგრძეზე ხედავდეთ. დაათვალიერეთ თქვენი სახე – ცხვირი, ტუჩები, პირი და ყურების წინა და უკანა ზედაპირი. შეამოწმეთ თქვენი ხელები, მათი გარეთა, შიდა ზედაპირი და თითებშორის არეები. ასწიეთ ზევით იდაყვები, დაათვალიერეთ მკლავების შიდა ზედაპირი და იღლიები. ფოკუსირება გააკეთეთ კისერზე, გულმკერდსა და სხეულის ზედა ნაწილზე. ქალებმა უნდა შეამოწმონ სარძევე ჯირკვლების დაფარული არეები. გამოიყენეთ პატარა სარკე კისრის უკანა ზედაპირისა და ზურგის დასათვალიერებლად, – „ნეტგაზეთთან“ ინტერვიუში ამბობს ონკოლოგი თეიმურაზ გოგიტიძე.

ნეტგაზეთი

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ იწყება

საქართველოს ტელესივრცეში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული შოუ „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ახალ სეზონს იწყებს.

რიგით მერვე სეზონს ტელეკომპანია „იმედი“ ახალი სატელევიზიო ეთერიდან დაიწყებს.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ სარეკლამო რგოლი ინტერნეტში უკვე გავრცელდა. როგორც ვიდეორგოლშიც აღნიშნულია, ახალ სეზონზე მაყურებელი ბევრ ახალ სახეს ნახავს და პროექტის მსვლელობის დროს ბევრი სიურპრიზიც ელოდება.

პროექტმა შვიდი სეზონის განმავლობაში არაერთ ცნობილ ვარსკვლავს და პროფესიონალ მოცეკვავეს უმასპინძლა. სწორედ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ეთერში გამოჩენის შემდეგ გახდა ლათინოამერიკული ცეკვები პოპულარული.

ნინო სურგულაძე და გიორგი ანდღულაძე ნეაპოლის სან კარლოს საოპერო თეატრში მღერიან

ოპერის ქართველი მომღერლები ნინო სურგულაძე და გიორგი ანდღულაძე ნეაპოლის სან კარლოს საოპერო თეატრში მღერიან.

თეატრი 25 ივლისამდე ლეგენდარული ჯუზეპე ვერდის „რიგოლეტოს“ წარმოადგენს, რომელშიც ორი უნიჭიერესი ქართველი საოპერო მომღერალი, მეცო სოპრანო ნინო სურგულაძე და ბანი გიორგი ანდღულაძე მონაწილეობენ.

სპექტაკლებისადმი ინტერესი საკმაოდ მაღალია და საოპერო წარმოდგენებს ქართველების მონაწილეობით ათასობით მსმენელი ესწრება.

ბექა გოჩიაშვილმა და დათუნა სირბილაძემ გიო ხუციშვილს სიმღერა მიუძღვნეს

რამდენიმე ხნის წინ გარდაცვლილ მომღერალ გიო ხუციშვილს პიანისტმა ბექა გოჩიაშვილმა და მომღერალმა დათუნა სირბილაძემ სიმღერა მიუძღვნეს.

„ისევ მინდა გაზაფხული“ – ასე ეწოდება კომპოზიტორ ლილიკო ნემსაძის სიმღერას, რომლისთვისაც ტექსტი პოეტმა ნანა ცინცაძემ დაწერა.

ეს სიმღერა გიო ხუციშვილის რეპერტუარში იყო, თუმცა მან სიმღერა დათუნა სირბილაძეს აჩუქა. გიო ხუციშვილის გარდაცვალების შემდეგ კი ბექა გოჩიაშვილმა ახლებური ინტერპრეტაციით ააჟღერა და წარმატებული დუეტიც შედგა.

„იუნისეფი“ ბავშვებს სისხლში ტყვიის შემცველობაზე გამოიკვლევს



გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) მსოფლიოს მასშტაბით მრავალ ინდიკატორულ კვლევას იწყებს, რომელიც შეისწავლის ბავშვთა მდგომარეობას ყველა მიმართულებით, – განათლება, კვება, განვითარება, ჯანმრთელობა და ა.შ. კვლევა ჩატარდება საქართველოშიც. როგორც ფონდის წარმომადგენელი მაია ქურციკიძე „ბათუმელებთან“ ამბობს, აღნიშნული კვლევა არ მოიცავს ბავშვებში ტყვიის კომპონენტის კვლევას, თუმცა საქართველოში კვლევას ეს კომპონენტი დაემატება.

– გამომდინარე იქიდან, რომ არსებობს ბევრი ინფორმაცია საქართველოში ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის ზრდაზე, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ კვლევაში ეს კომპონენტი დაგვემატებინა.

მაია ქურციკიძის თქმით, კვლევაში ჩართული იქნებიან დაავადებათა კონტროლის ცენტრი და იტალიელი ექსპერტები.

– ამ თემაზე გაიმართება სემინარი თბილისში, ემორის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი კრიტიკულ მედიცინაში ზიად კაზი ტრენინგებს ჩაუტარებს ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს. განხილული იქნება ტყვიის შესაძლო წყაროები, ტყვიის ტოქსიკურობის მექანიზმები და სამიზნეები, როგორია ბავშვებში ტყვიის ტოქსიკურობის კლინიკური გამოვლინებები და ა.შ.

კვლევის ფარგლებში შერჩეულია 13.500 ოჯახი ქვეყნის მასშტაბით.

– აქედან რომელი ოჯახიც იქნება თანახმა, რომ ბავშვებს სისხლი ავუღოთ ტყვიაზე კვლევისთვის, მათგან ავიღებთ ანალიზებს. სადღაც 1.500-2.000 ბავშვის გამოკვლევა მოხდება ქვეყნის მასშტაბით. გამოკვლევა ჩაუტარდება 2-იდან 10 წლამდე ბავშვებს.

სექტემბერში საველე ჯგუფები უკვე დაიწყებენ ოჯახებში შესვლას. გვექნება საკომუნიკაციო კამპანიაც, ამიტომ ამ თემაზე კიდევ გავავრცელებთ დამატებით ინფორმაციებს, – ამბობს ქურციკიძე.

ანალიზები გამოსაკვლევად გაიგზავნება საზღვარგარეთ.

როგორც მაია ქურციკიძე ამბობს, ანალიზის შედეგები 2019 წლის პირველ კვარტალში იქნება წარმოდგენილი.

ნეტგაზეთი

გიო ძამუკაშვილი ბარსელონას სამუსიკო აკადემიაში სწავლისთვის არ დააფინანსეს

თვითნასწავლმა მუსიკოსმა გიო ძამუკაშვილმა ურთულეს კონკურენციაში სამ ესპანელ გიტარისტთან ერთად ბარსელონას სამუსიკო აკადემიის ერთწლიან მაგისტრატურაში ფლამენკოს განხრით სწავლის უფლება მოიპოვა, თუმცა სწავლისთვის საჭირო თანხა არც კულტურის სამინისტროს, არც განათლების ცენტრს, არც ათობით ორგანიზაციასა თუ მსხვილ ბიზნესმენსა და მათ ფონდებს არ აღმოაჩნდათ. ამიტომ მუსიკოსი ისევ რიგითი კეთილი ადამიანების იმედზეა და საქართველოს ბანკში დახმარების მსურველებისთვის ანგარიშიც გახსნა.

გიო ძამუკაშვილი:

– 6 ივლისს ესპანეთიდან ჩემ მიერ გაგზავნილი საგამოცდო ვიდეომასალის საფუძველზე მომივიდა ჩარიცხვის საბუთი ბარსელონას სამუსიკო აკადემიის ერთწლიან მაგისტრატურაში ფლამენკოს განხრით, ყველასათვის ცნობილი გიტარისტის, ბატონი კანისარესის ჯგუფში! სრული თანხა შეადგენს 6,600 ევროს, მაგრამ სწავლის დასაწყებად საკმარისია 2,200 ევრო. მატერიალური სახსრის მოძიებას იმ წამიდანვე შევუდექი, მაგრამ არც კულტურის სამინისტროს, არც განათლების ცენტრს, არც ათობით ორგანიზაციასა თუ მსხვილ ბიზნესმენსა და მათ ფონდებს, ჩემთვის არავითარი თანხა არ აღმოაჩნდათ.

იქნებ გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული მიმართულებით არასოდეს ჰყოლია ამ ძალიან მაგარ სასწავლებელს ქართველი სტუდენტი და იქნებ ვინმეს როგორმე მიაწვდინოთ ხმა, ვინც ჩემს კეთილდღეობაზე კი არა, საქართველოს ამ ურთულეს ჟანრში ღირსეულად წარმოჩენაზე გამოიჩენს გულისხმიერებას და თავისი ქვეყნის მოქალაქეს მისცემს საშუალებას, მიიღოს კუთვნილი განათლება, რომლის უფლებაც ამ თვითნასწავლმა მოქალაქემ, ურთულეს კონკურენციაში სამ ესპანელ გიტარისტთან ერთად მოიპოვა და რომელიც მისი ბავშვობის ოცნება იყო, იმდენად ძლიერი ოცნება, რომ საქართველოში ფლამენკოს პედაგოგის არარსებობის მიუხედავად მიაღწია ამას!

გთხოვთ დამეხმაროთ! მერწმუნეთ, ეს არაა ის დაწესებულება, სადაც ყოველ წელს „ერთმანეთზე უკეთეს“ სტუდენტებს გავგზავნით!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მიხეილ გიორგაძე მინისტრ ბატიაშვილის მოადგილედ დაინიშნა, ბერიკაშვილი – არა

კულტურის ყოფილი მინისტრი მიხეილ გიორგაძე განათლებისა და კულტურის გაერთიანებულ სამინისტროში მინისტრ მიხეილ ბატიაშვილის პირველ მოადგილედ დაინიშნა. რაც შეეხება მანანა ბერიკაშვილს, რომელიც კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა, გაერთიანებულ სამინისტროში მუშაობას ამ პოსტზე აღარ გააგრძელებს.

სამინისტროს ვებგვერდზე მოადგილეთა განახლებული სია დღეს, 18 ივლისს გამოქვეყნდა. როგორც ნეტგაზეთს უთხრეს სამინისტროში, ბრძანება მათი დამტკიცების შესახებ უწყებაში დღეს შევიდა. რაც შეეხება სხვა მოადგილეებს, მათი სია შემდეგნაირია: ლია გიგაური, თეიმურაზ მურღულია, ალექსანდრე თევზაძე, ლევან ხარატიშვილი, შალვა გოგოლაძე და ირინა აბულაძე.

სამგლოვიარო განცხადებები

უახლოესი მეგობრები, ზაურ და მალინა შენგელიები ოჯახით იუწყებიან მედიცინის დოქტორის, პროფესორ

ლერი ხონელიძის

გარდაცვალებას.
დაკრძალვა: ხუთშაბათს, 19 ივლისს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.2.4488

ევრო — 2.8700

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2434

100 რუსული რუბლი — 3.9137

ამინდის პროგნოზი 19 ივლისისთვის



იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

დომაგოი ვიდა შესაძლოა მადრიდის ატლეტიკოში გადავიდეს

ხორვატი მცველი დომაგოი ვიდა შესაძლოა მადრიდის ატლეტიკოში გადავიდეს სათამაშოდ. ვიდამ მსოფლიო ჩემპიონატზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მისით ბევრი გუნდი დაინტერესდა.

ატლეტიკო მზად არის, ვიდაში 35 მილიონი ევრო გადაიხადოს და ბეშიქთაში ამ თანხაზე, სავარაუდოდ, უარს არ იტყვის.

თვითონ ვიდამ განაცხადა, რომ მისთვის ატლეტიკოში თამაში დიდი პატივი იქნება, თუმცა ის თურქეთშიც ბედნიერია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ევროკომისიამ oogle-ს 4,34 მილიარდი ევროს ოდენობით ჯარიმა დააკისრა

ევროკომისიამ Google-ს 4.34 მილიარდი ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა. როგორც ბრიტანული გამოცემა The Guardian წერს, კომისიამ გადაწყვეტილება 39-თვიანი გამოძიების შემდგომ მიიღო.

ევროკომისიის განცხადებით, კომპანია ბოროტად იყენებს საკუთარ დომინირებას ბაზარზე.

კერძოდ, ევროკომისია Google-ს ედავება საკუთარი საძიებო სისტემის ძირითად საძიებო სისტემად დაყენებას, სმარტფონების მწარმოებელთათვის კონკურენტი სისტემების დაყენებაში ხელის შეშლასა და მომხმარებლის არჩევანის შეზღუდვას, რაც მობილური ოპერატორების მიერ Google-ის საძიებო სისტემის წინასწარი ინსტალაციების ფინანსურად წახალისებაში გამოიხატება.

ჯარიმის გადახდის გარდა, ევროკომისიის გადაწყვეტილებით, Gooogle-ს არსებული პრაქტიკის შესაცვლელად 90-დღიანი ვადა მიენიჭა. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიას დამატებითი ჯარიმები დაეკისრება. დამატებითი ჯარიმების ოდენობა დაკისრების შემთხვევაში კომპანიის დღიური ბრუნვის 5% იქნება.

კომპანიაში ბრალდებების საპასუხოდ აცხადებენ, რომ მათმა ოპერაციულმა სისტემამ მომხმარებლებს იმაზე მეტი არჩევანის გაკეთების საშუალება მიანიჭა, ვიდრე რომელიმე სხვა პლატფორმამ.

Google ევროკომისიის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს.

იუმორი

რუსს ეკითხებიან:

– რატომ სვამთ რუსები ამდენ არაყს?

– მცირე ხნით მაინც დავივიწყოთ, რომ ყველაზე საუკეთესო ქვეყანაში ვცხოვრობთ.

•••

ტერმინატორის ახალ ფილმს იღებენ. სცენარის მიხედვით, ტერმინატორი საქართველოში ხვდება და ელემენტები უჯდება. ბოლო სიტყვები რასაც ისმენს:

– ბიჭო, შეხედე ამას, ორმოცდაათი კილოგრამი სპილენძი მაინც ექნება!

•••

მასწავლებელი გიგის ეკითხება:

– გიგი, რატომ გაქვს კარნახით წერაში ისეთივე შეცდომები, როგორიც ლელას აქვს?

– კი მაგრამ, ჩვენ ხომ ერთი და იგივე მასწავლებელი გვყავს!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ამ დღეებში ახალ საქმეს გავხსნი და საოცრად გავმდიდრდები.

– ბიზნესმენი ხარ?

– არა, პროკურორი.

•••

ავადმყოფი ექიმს შეშფოთებული ეუბნება:

– ექიმო, ახლახან გავიგე, რომ ჩემთვის ოპერაციის გაკეთებას, პრაქტიკანტს ანდობთ.

– დიახ და ოპერაცია ხვალისთვისაა დანიშნული.

– კი მაგრამ, რომ მოვკვდე?

– არა უშავს, ნიშანს არ დავუწერ და ჩაიჭრება.

•••

წინა დღის ნაქეიფარი ქმარი კუნძზე ზის და სიგარეტს აბოლებს, ამ დროს კი ცოლი კარტოფილს თხრის. ქმარი ცოლს გასძახებს:

– შვილი რომ გაგეჩინა, ახლა ხომ მოგვეხმარებოდა...

– რა თქმა უნდა, ახლა მანდ ორი მუტრუკი ისხდებოდით და სიგარეტს გააბოლებდით...

•••

მარტოხელა დამლაგებელი ქალი დაფეხმძიმდა. ნათესავების შეკითხვაზე, ვინაა ბავშვის მამა, ის ლაკონურად პასუხობს:

– თქვენ გგონიათ, რომ როდესაც ვალაგებ, უკან ვიყურები?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

ნაპოლი ბენზემაში 45 მილიონ ევროს იხდის

იტალიური ნაპოლი მადრიდის რეალის ფორვარდში კარიმ ბენზემაში 45 მილიონ ევროს იხდის, თუმცა ამ თანხას რეალი სავარაუდოდ არ დათანხმდება.

ნაპოლის მომავალ სეზონში კარლო ანჩელოტი უხელმძღვანელებს, რომელიც ბენზემას კარგად იცნობს და დიდი სურვილი აქვს, რომ ფრანგი თავდამსხმელი ისევ თავის გუნდში იხილოს.

ბენზემამ გასული სეზონი არცთუ კარგად ჩაატარა, ამიტომ მისი გაყიდვა რეალის მხრიდან გამორიცხული არ არის.

ბენზემა რეალში 2009 წელს გადავიდა და მას შემდეგ მან რეალის შემადგენლობაში უამრავი ტიტული მოიგო.

პოგბას იუვენტუსში დაბრუნება სურს

მსოფლიოს ჩემპიონი პოლ პოგბა იტალიაში, კერძოდ კი იუვენტუსში აპირებს დაბრუნებას. პოგბამ იუვე 2 წლის წინ დატოვა, როდესაც ის მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელი გახდა. ინგლისში პოგბას ხშირად აკრიტიკებენ, გარდა ამისა, მას ჟოზე მოურინიოსთანაც დაძაბული ურთიერთობა აქვს და ამ ყველაფრის გამო მას მანჩესტერის დატოვება სურს.

თავის დროზე მანჩესტერმა პოგბაში 105 მილიონი ევრო გადაიხადა და, ბუნებრივია, ადვილად არ დათმობს ფრანგ ფეხბურთელს, განსაკუთრებით მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სადაც პოგბა ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

გიორგი ქვილითაია კარიერას გენტში გააგრძელებს

გიორგი ქვილითაია კარიერას ბელგიურ გენტში გააგრძელებს, სადაც უკვე თამაშობს ორი ქართველი ფეხბურთელი და ქვილითაია მესამე იქნება.

გიორგი გენტთან 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. აქამდე ქვილითაია ვენის რაპიდის ღირსებას იცავდა, სადაც ის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო.

გენტის ღირსებას იცავს გიორგი ჩაკვეტაძეც, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელად ითვლება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. პოპულარული მუსიკალური საესტრადო ნაწარმოები, სიმღერა; 2. სამხედრო იარაღის მწარმოებელი ქართული ფირმა; 3. ავტოდრომი იტალიაში; 4. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 5. პატარა კაფე, სასაუზმე გერმანიაში; 6. ჩეხი მევიოლინე მამაკაცი; 8. ქართველი მილიარდერი, ქველმოქმედი, მეცენატი; 10. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 14. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 15. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 16. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო.

თარაზულად: 1. უნგრელი პარტიზანი; 4. ფინეთის დედაქალაქი; 7. ელექტროავტომობილების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 9. ინდოეთის ეროვნული გმირი; 12. ღვინის ვაჭარი ძველად; 13. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი; 14. პატარა სასეირნო გემი; 17. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 18. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 19. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 20. პოპულარული საბჭოთა ავტომობილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა